აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 103-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№36 (25.060) ხუთშაბათი, 6 - 7 აპრილი, 2023 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 17-22, შიდამთიან რაიონებში - 10-15, მაღალ მთაში - 7-12 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 12 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 758 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს ამინდი შენარჩუნდება.

თორნიკე რიჟვაძე: 2025 წლისთვის აჭარაში ვიზიტიორთა რაოდენობის 6 მილიონამდე, ხოლო რესპუბლიკური ბიუჯეტის 1 მილიარდ ლარამდე გაზრდას ვგეგმავთ

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში სამუშაო თათბირი გამართა. შეხვედრაზე სამინისტროს 2023 წელს განსახორციელებელი გეგმები და ძირითადი მიმართულებები განიხილეს. ჯაბა ფუტკარაძემ მთავრობის თავმჯდომარეს მიმდინარე ეკონომიკურ, საპრივატიზაციო, საინვესტიციო და საბიუჯეტო პროცესებზე ინფორმაცია მიაწოდა.

შეხვედრაზე მთავრობის თავმჯდომარემ ტურიზმის მიმართულებით მნიშვნელოვანი სიახლე გააჟღერა - „კურორტ გოდერძის ახალი საბაგირო და სათხილამურო ტრასა დაემატება, რაზეც მთის კურორტების სააგენტოსთან მიმდინარეობს მუშაობა. გარდა ამისა, იგეგმება ახალი ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა ღომას მთაზე და გულების ციხეზე“.

აჭარის მთავრობის მეთაურის თქმით, რესპუბლიკური ბიუჯეტი ბოლო 4 წლის განმავლობაში გაორმაგდა და 2025 წლისთვის იგეგმება ბიუჯეტის 1 მილიარდამდე გაზრდა. 2022 წელს აჭარას 3.9 მილიონი ვიზიტიორი სტუმრობდა და აჭარის მთავრობის მიზანს 2025 წლისთვის ვიზიტიორთა რაოდენობის 6 მილიონამდე გაზრდა წარმოადგენს.

„ზრდა გვაქვს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაწილში, რაც მოწმობს, რომ ქვეყანა, რეგიონი ინარჩუნებს სტაბილურ ბიზნესგარემოს. როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოურ ინვესტორებს აქვთ სრული ნდობა, რომ მათი კაპიტალი დააბანდონ ჩვენს ქვეყანაში და კერძოდ, ჩვენს რეგიონში, რაც თითოეული აჭარაში მცხოვრები ოჯახის შემოსავლების ზრდაზე აისახება. ტურიზმი ინარჩუნებს პრიორიტეტულ მიმართულებას. ამიტომ, ყველგან, როგორც ბათუმში, ასევე მუნიციპალიტეტში უნდა განვავითაროთ ახალი ტურისტული ინფრასტრუქტურა, რომელიც მოგვცემს საშუალებას, კიდევ უფრო მეტი ვიზიტიორი მოვიზიდოთ“, - აღნიშნა თორნიკე რიჟვაძემ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის 3 თვის ბიუჯეტი 118,9 %-ით შესრულდა. აჭარაში აქტიური საპრივატიზაციო პოლიტიკა გრძელდება. 2023 წელს, ჯამში, 55 000 000 ლარის ღირებულების ქონების აუქციონის გამოცხადება იგეგმება.

ტურიზმის, როგორც რეგიონის წამყვანი სექტორის, განვითარება რჩება მთავრობის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად. ტურიზმის დეპარტამენტის ბიუჯეტი 62%-ით გაიზარდა და 15 988 600 ლარს შეადგენს.

სპორტული ტურიზმის განვითარებაზე 155 მლნ ლარი დაიხარჯება. აჭარის პროექტების მართვის კომპანია, ამ ეტაპზე, სხვადასხვა მუნიციპალიტეტში, 10-მდე მასშტაბურ, სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობის პროექტს ახორციელებს. შეხვედრას აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი ჯაბა ფუტკარაძე, აჭარის მთავრობის და ეკონომიკური გუნდის წევრები ესწრებოდნენ.

აჭარის მთავრობის პრესსამსახური

კომისიამ ძლიერი ქარის შედეგად დაზარალებული 220 ოჯახის დოკუმენტაციის განხილვა დაიწყო

ბათუმის მერიაში სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების მდგომარეობის შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის სხდომა გაიმართა

სხდომას ბათუმის ვიცე-მერი ლევან დავითაძე ხელმძღვანელობდა.

კომისიის წევრებმა 28 მარტს, ძლიერი ქარის შედეგად დაზარალებულ 220 ოჯახთან დაკავშირებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვა დაიწყეს.

კომისიას შუამდგომლობები ბათუმის მუნიციპალური სერვისების სააგენტოს სერვისცენტრის მენეჯერებმა წარუდგინეს. კერძოდ, განიხილეს ქარის შედეგად დაზიანებული სახლების სახურავების აღდგენის საკითხი.

კომისიის თავმჯდომარემ შესაბამის სამსახურებს მისცა დავალება, დაჩქარებული წესით მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და შემდგომში შესაბამისი ღონისძიებების გატარება გამარტივებული შესყიდვით, ასევე, დაზარალებულ ოჯახებს დროულად გაეწიოთ ფულადი კომპენსაცია.

სხდომას ბათუმის მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები და კომისიის წევრები ესწრებოდნენ.

ინფორმაცია ბათუმის მერიამ გაავრცელა.

კრიალოსა N იუსი

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ფინეთის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებას ეხმიანება. „ვულოცავ ფინეთს ნატოში გაწევრიანებას. ნატო ახლა არის უფრო ძლიერი და ერთიანი, ხოლო ევროპა კიდევ უფრო უსაფრთხო ადგილია ფინეთთან ერთად. საქართველო მოწოდებულია, რომ მჭიდროდ ითანამშრომლოს ნატოში გაწევრიანების მისწრაფებებზე და მშვიდობისა და უსაფრთხოების გაძლიერებაზე მსოფლიოში, - აცხადებს შალვა პაპუაშვილი.

* * *

პარლამენტმა პირველი მოსმენით „თავდაცვის კოდექსის“ პროექტი მიიღო. პროექტის თანახმად, სავალდებულო სამხედრო სამსახურს სახელი ეცვლება და „წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახური“ ეწოდება. წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახურის გავლა მხოლოდ სამინისტროს სისტემაში იქნება შესაძლებელი. სიახლეების ამოქმედება 2025 წლის პირველი იანვრიდან იგეგმება.

* * *

ფრაქცია „ქართულ ოცნებას“ ხუთი ახალი დეპუტატი ჰყავს. პარლამენტმა გიორგი ჩაკვეტაძის, თენგიზ შარმანაშვილის, მერაბ ქვარაიას, სალომე ქურასბედიანისა და ირაკლი კირცხალიას სადეპუტატო უფლებამოსილება ცნო. ისინი პარლამენტში ფრაქცია „ქართული ოცნების“ ხუთი წევრის ადგილმონაცვლედ შევიდნენ. როგორც ცნობილია, გიორგი ამილახვარმა მინისტრთა კაბინეტში გადაინაცვლა, რაც შეეხება სხვებს, არსებული ინფორმაციით, ოთხი დეპუტატის პარლამენტიდან წასვლა ე.წ. უცხოური გავლენის აგენტების შესახებ კანონპროექტს უკავშირდება.

* * *

„ნაციონალურ მოძრაობას“ გენერლები მამუკა ყურაშვილი და ზაზა გოგავა შეუერთდნენ. ისინი პარტიის თავმჯდომარე ლევან ხაბეიშვილმა და პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა პეტრე ცისკარიშვილმა წარადგინეს. „ზაზა გოგავა და მამუკა ყურაშვილი გააძლიერებენ „ნაციონალურ მოძრაობას“. ზაზა გოგავა ადგილს დაიკავებს პარტიის სამდივნოში, მამუკა ყურაშვილი კი მაღალ თანამდებობას დაიკავებს თბილისის „ნაციონალური მოძრაობის“ ორგანიზაციაში. წინ ძალიან ბევრი ბრძოლა გვაქვს, რომელსაც ერთად აუცილებლად მოვიგებთ“, - განაცხადა ლევან ხაბეიშვილმა.

* * *

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ყოფილი მოადგილე სოსო გოგაშვილი თბილისის საქალაქო სასამართლომ ბრალად წარდგენილ ხუთივე მუხლში დამნაშავედ ცნო. მას 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. განაჩენის გამოცხადებას გოგაშვილის ოჯახის წევრების მხრიდან უკმაყოფილება მოჰყვა.

მოამზადა ია შველიძემ

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

მინისტრმა სამედიცინო პერსონალთან მორიგი შეხვედრა გამართა

დარინა გაბაიძე 514 22 22 80

აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ნინო ნიჟარაძემ, სამინისტროს მიმდინარე პროგრამების შესახებ და სამომავლო სიახლეების დანერგვის მიზნით, სამედიცინო პერსონალთან მორიგი შეხვედრა გამართა „ევექსის ჰოსპიტლები - ქობულეთის რეგიონულ ცენტრში“ და მათი მოსაზრებები მოისმინა

შეხვედრას ესწრებოდნენ კლინიკის ხელმძღვანელი ირინა დოლიძე და მინისტრის მრჩეველი კობა ნაკაიძე. მხარეებმა ინფორმაციები გაცვალეს სამინისტროს პროგრამების მიმდინარეობის შესახებ, ისაუბრეს პაციენტების ინტერესებზე მორგებული სერვისების შედეგებზე, მათ გაფართოებასა და თანამშრომლობის მოდელის კიდევ უფრო დახვეწის მზაობაზე.

მინისტრმა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში შეტანილი წვლილისათვის დააჯილდოვა „ევექსის ჰოსპიტლები - ქობულეთის რეგიონული ცენტრის“ ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგი, ტრანსფუზიოლოგი, ანესთეზიისა და კრიტიკული მედიცინის სამსახურის უფროსი ამირან ხალვაში.

ოპოზიცია ხელისუფლების გულგრილობასა და უპასუხისმგებლობაზე საუბრობს

დარინა გაბაიძე 514 22 22 80

ბათუმში სანაპირო ზოლის მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა ოპოზიციის მხრიდან ხელისუფლების კრიტიკის საბაბი გახდა. „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები, ამჯერად, „აკვაპარკის“ მიმდებარე ტერიტორიაზე ამახვილებენ ყურადღებას, ადგილზე ისევ აღმოუფხვრელია უამინდობის შედეგად მიყენებული ზიანი. ამბობენ, რომ ინფრასტრუქტურული პრობლემები ქალაქის თითოეულ ადმინისტრაციულ უბანშია. ისინი ბათუმის მერთან ერთად, აჭარის თავმჯდომარის პასუხისმგებლობაზე საუბრობენ

ბათუმის საკრებულოს წევრმა „ნაციონალური მოძრაობიდან“ რეზო ხარაზმა განაცხადა, რომ „ინფრასტრუქტურული სამუშაოები ვერ შესრულდა, ბათუმი დაემსგავსა უპატრონო, მიტოვებულ ქალაქს. რომ იცოდნენ ბათუმელებმა, საერთოდ, ქალაქს მერი არ ჰყავს. ეს ადამიანები ზიან კაბინეტებში და სოციალურ ქსელში წერენ, თითქოს ტურისტული საზღვაო სეზონისთვის ემზადებიან და რეალურად, პლაჟი არ აქვთ. ეს ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ჩვენ, საზოგადოებამ, ბათუმელებმა, ხალხმა უნდა ავიღოთ პასუხისმგებლობა, უნდა მოვთხოვოთ ამ ადამიანებს, მოშორდნენ ამ ქალაქს და დაანებონ ქალაქის გაუბედურებას თავი. ვერცერთი ინფრასტრუქტურული სამუშაო ვერ სრულდება. 8 კმ-იან გზას აშენებენ 8 წელია. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ჩვენ ტურისტულ სეზონს ვერ შევხვდებით მომზადებული! ეს არის მიზანმიმართული ქმედება. ისინი რუსულ საქმეს აკეთებენ. ამიტომ, მთავარია, ჩვენ ავიღოთ პასუხისმგებლობა, განსაკუთრებით ახალგაზრდებმა, უნდა დავიწყოთ მობილიზება იმისთვის, რომ სადაც მივლენ ესენი, მივიდეთ და ვუთხრათ, რომ 10 წლის განმავლობაში ვერ მოაგვარეს პრობლემები. ყველგან მივალთ, ყველა უბანში, ყველა სახლთან. ეს პროცესი უკვე დაწყებულია. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ეს კაბინეტში მჯდომი ადამიანები, რომლებიც მხოლოდ შიდა თათბირებით არიან დაკავებულები, მოშორდნენ ამ ქალაქს. ეს არის მთავარი ამოცანა, მთავარი მიზანი დღეს, რადგან ბათუმში ჩამოსულ ტურისტებთან მრცხვენია, რომ ქალაქი არის ასეთი მოუწესრიგებელი“.

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრის ლევან ანთაძის განცხადებით: „რიჟვაძის მიერ ჩატარებულ თათბირზე, სადაც ჩიქოვანიც ესწრებოდა და სხვა წარმომადგენლებიც, ამბობენ, რომ ემზადებიან ტურისტული სეზონისთვის. ხედავთ, როგორც ემზადებიან და რა დღეშია ბათუმის პლაჟი, ვფიქრობ, რომ ამ ადამიანების პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს“. ჩვენთან საუბარში რეზო ხარაზი ამბობს: „ერთი თვის განმავლობაში დავდივართ ქალაქში და ვხედავთ, რომ უამრავი პრობლემა აქვს ბათუმს, დავიწყოთ სანაპირო ზოლით, რომელიც ზღვამ წაგვართვა ხელისუფლების უუნარობის და არაკომპეტენტურობის გამო. ახლა კი შეაქვთ ინერტული მასალა, რაც მნიშვნელოვანია და ძალიან კარგია, მაგრამ ამის პარალელურად უნდა დაიწყოს სანაპირო ზოლის აღდგენის პროცესი. შემიძლია, ასევე, დაგისახელოთ „გმირთა ხეივნის“ პროექტი, რომელშიც 23 მილიონი იხარჯება და ოთხი წელია მიმდინარეობს სამუშაოები, ფრიდონ ხალვაშის გამზირი, რომელიც უკვე დასრულებული უნდა იყოს. დაახლოებით 3 თვე დასჭირდება კიდევ მის დასრულებას, ჭოროხის შემოვლითი გზა, რომელიც 2017 წელს დაიწყეს პატარაძის ხელმძღვანელობით და დღესაც დაუსრულებელია. იქ ავტომობილი ვერ მოძრაობს, ადამიანები ვერ გადაადგილდებიან. ქალაქში, სადაც უნდა გაიაროთ, ყველგან არის პრობლემები, სანაგვედაა ქცეული მთელი გონი-კვარიათის პლაჟი“...

კითხვით მივმართეთ ლევან ანთაძესაც.

- ბატონო ლევან, თქვენ საუბრობთ ბათუმის მოუწესრიგებელ ინფრასტრუქტურაზე და სხვა გამოწვევებზე... რას გვეტყვით ფაქტზე, რომ ზღვისპირა ქალაქმა ევროპის სწრაფად მზარდი ტურისტული მიმართულების ჯილდო მიიიღო? ვგულისხმობ ტურიზმის „ოსკარს“...

- რა ჯილდოც ბათუმმა მიიღო, მიხეილ საკაშვილის მიერ გაკეთებული ინფრასტრუქტურის დამსახურებაა და არა ჩიქოვანის და რიჟვაძის. ერთ პროექტსაც ვერ დამისახელებენ, მათ მიერ დაწყებულს და დასრულებულს. გამოვიდნენ კაბინეტებიდან და ნახონ, რას დაამსგავსეს ქალაქი. ამაში მიიღეს „ოსკარი“?! „ოსკარი“ მიიღეს „პიაცაში“, „ევროპის მოედანში“, „ახალ ბულვარში“. მათ კლიპს გადახედონ, ესეც საკმარისია, თვალნათლივ ჩანს, რაშიც მიიღეს „ოსკარი“. ახლა, როცა დღის წესრიგში დადგა საკითხი, რომ ტურიზმის „ოსკარს“ უნდა უმასპინძლოს ბათუმმა, მაქვს კითხვა მათთან, აქ, ბულვარში უნდა უმასპინძლონ „ოსკარს“, ბაგრატიონის ქუჩაზე, რომელსაც 4 წელია აშენებენ თუ გმირთა ხეივანში, 23 მილიონს რომ ხარჯავენ? ნახეთ, რას დაამსგავსეს იქაურობა. არ აქვთ იმ კითხვებზე პასუხი, რა კითხვებიც გვაქვს შეტანილი პროკურატურაში. აუცილებლად დადგება მათი პასუხისმგებლობის დრო. ჩვენ ახლა ვართ „აკვაპარკის“ მიმდებარე ტერიტორიაზე და ვხედავთ, რა მდგომარეობაცაა. დიახ, ტურიზმის „ოსკარი“ ამ ქალაქმა მიიღო, ქალაქმა, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ დროს აშენდა და რომელსაც დღეს ანგრევენ.

რას გამოიწვევს უნებართვო გარევაჭრობა?

ნაილე ხერთვისელი 27 48 93

უნებართვო გარევაჭრობაზე, შესაძლოა, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა გამკაცრდეს. ამას „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ დაგეგმილი ცვლილებების პროექტი ითვალისწინებს, რომელიც პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო. კანონის პროექტი მთავრობამ მოამზადა. მოქმედი კოდექსით დადგენილი ნორმის თანახმად, გარე ვაჭრობა შესაბამისი ნებართვის გარეშე იწვევს ფიზიკური და იურიდიული პირის დაჯარიმებას 20-დან 50 ლარამდე ოდენობით, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით.

ამასთან, იგივე ქმედება, რომელიც დაკავშირებულია შესაბამისი ორგანოს უფლებამოსილი პირის განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობასთან - იწვევს დაჯარიმებას 50-დან 100 ლარამდე ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 7 დღემდე ვადით, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით.

არსებული რეგულაცია უცვლელი სახით რჩება, თუმცა პარლამენტში განსახილველად წარდგენილი კანონის პროექტის თანახმად, ნორმას ემატება სანქციები აღნიშნული ქმედების განმეორებით ჩადენისათვის და ასევე, აღნიშნული ქმედების სატრანსპორტო საშუალების, მასზე მისაბმელის ან ნებისმიერი სხვა მოძრავი საშუალების გამოყენებით ჩადენისთვის.

უფრო კონკრეტულად, კანონის პროექტის თანახმად, უნებართვოდ გარე ვაჭრობის განმეორების შემთხვევაში ფიზიკური ან იურიდიული პირი დაჯარიმდება 100-დან 200 ლარამდე ოდენობით, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით. აღნიშნული ქმედების სატრანსპორტო საშუალების, მასზე მისაბმელის ან ნებისმიერი სხვა მოძრავი საშუალების გამოყენებით ჩადენა კი გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, სამართალდარღვევის საგნის (შესაბამისი საქონლის) კონფისკაციით. ამასთან, ეს უკანასკნელი ქმედება, რომელსაც თან ახლავს შესაბამისი ორგანოს ან უფლებამოსილი პირის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, ითვალისწინებს დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 7 დღემდე ვადით - სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით.

საქართველოს რკინიგზა დამატებით რეისებს ნიშნავს

ხატია იაშვილი 555 18 48 88

აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით, საქართველოს რკინიგზა, ბათუმისა და ფოთის მიმართულებით, დამატებით რეისებს ნიშნავს.

„ბილეთების შეძენა შესაძლებელია ჩვენი ვებგვერდის საშუალებით, სწრაფი გადახდის აპარატებით, საქართველოს რკინიგზის სალაროებში და საქართველოს რკინიგზის პარტნიორი კომპანიების მეშვეობით“, - ნათქვამია უწყების განცხადებაში. მხოლოდ 4 დღით, 14, 15, 17 და 18 აპრილს, ბათუმი-თბილისის, თბილისი-ბათუმის მიმართულებებით, დღეში 4-4 რეისი შესრულდება. ამის მიუხედავად, მომხმარებელთა უმეტესობა ამბობს, რომ ბილეთები 20 აპრილამდე უკვე ბაზაში აღარ იძებნება.

ამბები

ღირსეულთა შორის

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს დირექტორი სოლომონ ფუტკარაძე 60 წლის გახდა. მას დიდი წვლილი

მიუძღვის ქვეყანასა და რეგიონში რადიოლოგიის განვითარებაში. დამსახურება კიდეც უფასდება. წელს პირველად „ქორთიარდ მარიოტში“ საქართველოს მამაკაცთა დაჯილდოების ცერემონია „ოქროს არწივი 2023“ გაიმართა. მისი ინიციატორია საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“, რომელსაც ბესო ჩუბინიძე ხელმძღვანელობს.

ისეთ ღირსეულ 23 მამაკაცთან ერთად, როგორებიც არიან: ალექსანდრე ჩივაძე, იმედა კახიანი, ნოე სულაბერიძე, ტარიელ ხარხელაური, გიორგი სხულუხია, ვალერი ზირაქაშვილი, ვლადიმერ კახაძე, ჯემალ ადამაშვილი, ნუგზარ რუხაძე, ლაშა ტალახაძე, გიორგი ყარყარაშვილი და სხვები, „ოქროს არწივის“ დიპლომი და ვიმპელი სოლომონ ფუტკარაძესაც გადაეცა.

- აჭარაში მრავალი ღირსეული პიროვნება მოღვაწეობს. ისინიც იმსახურებენ ასეთ აღიარებას, მაგრამ პროექტის დამფუძნებლებმა არჩევანი ჩემზე გააკეთეს. მადლობა წამოწყების ორგანიზატორებს, - გვითხრა სოლომონ ფუტკარაძემ.

ზიპლაინი – ჩირუხზე

ხატია იაშვილი 555 18 48 88

ევროპაში ყველაზე გრძელი ორზოლიანი ზიპლაინი ჩირუხის მთაზე მოეწყობა.

შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციით: „ზიპლაინი „არწივის ბუდე“ მდებარეობს ჩირუხის მთის მიმდებარედ, რომლის სიგრძე 1752 მეტრია და იქნება ევროპაში ყველაზე გრძელი ორზოლიანი ზიპლაინი. იგი შედგება ორი - ზედა და ქვედა სადგურებისგან. ზედა სადგური მდებარეობს ზღვის დონიდან 2496 მეტრზე და წარმოადგენს 10-მეტრიან კოშკურას არწივის ბუდის ვიზუალით, რომელიც ასრულებს როგორც ზიპლაინის ზედა კოშკის, ასევე გადმოსახედის ფუნქციას, დაუვიწყარი 360-გრადუსიანი ხედით. საწყის დონეზე მოეწყობა შეზლონგები და დამონტაჟდება ბინოკლები. ქვედა სადგური მდებარეობს ზღვის დონიდან 2060 მეტრზე. მისი არქიტექტურული იერსახის ინსპირაციად აღებულია ადგილობრივი იაილები. ქვედა სადგურის შენობაში განთავსდება მცირე ზომის კაფეტერია და ტერასა... განხორციელდება ახალი საპროექტო გზის, ბილიკების, ავტოსადგომების, ველოსადგომების, განათებებისა და ღობეების მოწყობა“.

საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებისა და მშენებლობისთვის აჭარის ბიუჯეტიდან გათვალისწინებული თანხა 2,7 მილიონი ლარით გაიზარდა. შარშან აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ 6 752 200 ლარით გამოცხადებული ტენდერი არ შედგა. ამჯერად, 9 512 716 ლარით, ტენდერი იმავე მომსახურების შესყიდვაზე „აჭარის პროექტების მართვის კომპანიამ“ გამოაცხადა.

ნატოს კიდევ ერთი ქვეყანა შეემატა

ნანა აბულაძე 577 20 35 90

ნატოს კიდევ ერთი ქვეყანა შეემატა - ალიანსის 31-ე და სრულუფლებიანი წევრი ოფიციალურად ფინეთი გახდა

- ნატოს შტაბ-ბინაზე პირველად აღვმართავთ ფინეთის დროშას. ეს იქნება კარგი დღე ფინეთის უსაფრთხოებისათვის, ჩრდილოეთის უსაფრთხოებისთვის და მთლიანად ნატოსთვის, - განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა და დასძინა, რომ აღნიშნულის შედეგად ფინეთი კიდევ უფრო უსაფრთხო ქვეყანა გახდება.

ფაქტს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ილია დარჩიაშვილი გამოეხმაურა. მან ალიანსის რიგებში ფინეთის მიღებას ისტორიული დღე უწოდა.

- დღეს ნამდვილად ისტორიული დღეა ნატოსთვის, რადგან კიდევ ერთ - ოცდამეთერთმეტე წევრს, ფინეთს მიესალმებიან ალიანსში. როგორც გენერალურმა მდივანმა აღნიშნა: „მნიშვნელოვანი დღეა ფინეთის უსაფრთხოებისთვის, ნორდიკული უსაფრთხოებისა და მთლიანად ნატოსთვის“. მოკავშირეები ასევე შეთანხმებული არიან, რომ შვედეთის გაწევრიანების პროცესიც უახლოეს მომავალში უნდა დასრულდეს. საქართველო მიესალმება ალიანსის ამ გადაწყვეტილებებს, რაც კიდევ ერთი დემონსტრირებაა იმისა, რომ ნატო ყოველთვის ასრულებს მიღებულ გადაწყვეტილებებს. რაც შეეხება ნატო-საქართველოს ურთიერთობას,

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ ის გზა, რომელიც ქართველმა ხალხმა ევროატლანტიკურ ერთობაში თავისი ადგილის მოსაპოვებლად გამოიარა, განუზომელია. იმ ქართველი ჯარისკაცების ღვაწლი, რომლებმაც საერთო ევროატლანტიკურ უსაფრთხოებას თავი შესწირეს, კარგად არის ცნობილი. აღსანიშნავია, რომ ნატოს დახმარებითა და მხარდაჭერით, საქართველომ მნიშვნელოვნად განავითარა თავდაცვისა და შეკავების შესაძლებლობები, - განაცხადა დარჩიაშვილმა.

ფინეთს ნატოში გაწევრიანება მიულოცა საქართველოს პრეზიდენტმა. სალომე ზურაბიშვილის განცხადებით, აღნიშნული საქართველოსთვის ძლიერი წახალისებაა. მისივე თქმით, საქართველო ერთგულად გააგრძელებს ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზას.

„63 კილოგრამს იწონის, კიდევ უფრო მეტად გამოიხატა კახექსიის მდგომარეობა“

ნანა აბულაძე 577 20 35 90

„მიხეილ სააკაშვილის მდგომარეობა გაცილებით უფრო უარესია, არის საშინელი კახექსია, კუნთების განლევა, უჭირს ადგომა“, - აღნიშნული განცხადება ექიმმა გიორგი გრიგოლიამ გააკეთა, რომელიც ომბუდსმენის მიერ შექმნილი კონსილიუმის წევრია

როგორც ცნობილია, აღნიშნული სამედიცინო კონსილიუმი, რომელიც სხვადასხვა პროფილის ექიმებითაა დაკომპლექტებული, კლინიკა „ვივამედში“ საქართველოს მესამე პრეზიდენტის მდგომარეობას გაეცნო. მედიკოსებმა განაცხადეს, რომ ისინი მომავალშიც გააგრძელებენ მონიტორინგს, ხოლო უახლოეს დღეებში, სხვა ექიმებთან ერთად შეაჯერებენ პოზიციებს და მოსახლეობას უფრო მეტ დეტალზე ჩააყენებენ საქმის კურსში.



- კლინიკა „ვივამედმა“ ოფიციალური წერილი გამოაქვეყნა, სადაც ითხოვენ სააკაშვილის სხვა დაწესებულებაში გადაყვანას, თუმცა იქ არ არის ნათქვამი, რომელ დაწესებულებაში უნდა გადაიყვანონ. ძალიან კარგად მესმის ამ კლინიკის თანამშრომლების და დირექციის, უკვე 10 თვეა, მიხეილ სააკაშვილი აქ იმყოფება. ყველა მხრიდან დიდი წნეხი აქვთ და რეზულტატებიც არ აქვთ, რადგან მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა უარესდება და არ უმჯობესდება. რაც შეეხება ჩვენს პოზიციას, ჯერ კიდევ ერთი წლის წინ, აპრილის დასკვნაში დავწერეთ, რომ ჩვენს პირობებში მისი გამოჯანმრთელება შეუძლებელია. ის, რამაც გამოიწვია ეს დაავადება, სტრესი, ადამიანს არ ეხსნება. იმ გარემოში იმყოფება, რომელშიც დაავადდა, არანაირი აზრი არ აქვს ერთი კლინიკიდან მეორე კლინიკაში გადაყვანას, ან კიდევ სხვაგან ან ვიღაცის ჩამოყვანას, ერთი ან ორი სპეციალისტის ჩამოყვანას. თუ გვინდა მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობა შევინარჩუნოთ და დავიცვათ, უმჯობესი იქნება, რაღაც პოლიტიკური გადაწყვეტილება მიღებული იყოს, მე არ მინდა ვისაუბრო ამ საკითხზე, გადავადება იქნება თუ დროებით გადაყვანა. ვფიქრობ, საქართველოს პირობებში, სადაც ის თავს პატიმრად გრძნობს, სადაც არ ეხსნება ეს სტრესი, რამაც ეს დაავადება გამოიწვია, ნებისმიერ კლინიკაში იგივე რეზულტატი იქნება, - განაცხადა გიორგი გრიგოლიამ.

მიხეილ სააკაშვილის მდგომარეობაზე ასევე ისაუბრა სამედიცინო კონსილიუმის კიდევ ერთმა წევრმა თენგიზ წულაძემ.

- მიხეილ სააკაშვილის წონა მეტად დაკლებულია, ის 63 კილოგრამს იწონის. კიდევ უფრო მეტად გამოიხატა კახექსიის მდგომარეობა და სისუსტე. მისი მდგომარეობა მძიმეა, სერიოზული ჩარევები სჭირდება, რათა მისი სიცოცხლე გადარჩეს. ვეღარ იტყვი, როდის, რა სისწრაფით დამძიმდება პაციენტი, პროგნოზირება ძალიან ძნელია. კომბინირებული და რთულად სამართავი პაციენტია. გადაადგილება შეუძლია, რამდენიმე მეტრს გაივლის. ეს არ არის ის, რაც ჩვეულებრივ ადამიანს შეუძლია. გადაადგილებისას, სავარაუდოდ, დაცემის მაღალი რისკი აქვს. მისი წამოდგომა და გადაადგილება რისკთან არის დაკავშირებული მაშინაც კი, როდესაც პალატიდან საპირფარეშოში შესვლას დააპირებს. არაერთხელ ვთქვით, რომ მგონი „ვივამედის“ კლინიკაც ამ აზრზეა ახლა, რომ მისი მკურნალობა აღარ უნდა გაგრძელდეს მათ კლინიკაში. ჩვენი აზრია, რომ საზღვარგარეთ უნდა წავიდეს და იქ უმკურნალონ, ესენი ფიქრობენ, რომ გაათავისუფლონ. ისინი საუბრობენ, რომ სჯობს, სხვაგან გაგრძელდეს მისი მკურნალობა, ან სხვა ტიპით, - აღნიშნავს წულაძე.

საქართველოს მესამე პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე გააკეთა კომენტარი „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ. მისი თქმით, მიხეილ სააკაშვილს ოჯახმა უნდა შეუტანოს სათანადო კალორაჟის საკვები.

- მიმდინარეობს თვითდაზიანების პროცესი, ამაში არის ჩართული პატიმარი, ამაშია ჩართული ოჯახი. ეს არის აბსოლუტურად მიუღებელი და გაუგონარი მოვლენა, - განაცხადა კობახიძემ.

„ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე ლევან ხაბეიშვილის ინფორმაციით, ევროკავშირმა მხარი დაუჭირა პოლონელი ექიმების შესვლას პრეზიდენტ სააკაშვილთან, რასაც მისივე განმარტებით, „ქართული ოცნება“ მიზანმიმართულად აჭიანურებს.

- როგორც კი პოლონელი ექიმები, რომლებსაც აქვთ ევროკავშირის მანდატი, პრეზიდენტ სააკაშვილს გასინჯავენ, აუცილებლად იქნება ობიექტური დასკვნები, რომლებიც აქამდეც არსებობს და ამის შემდეგ ყველანაირი სპეკულაციის შესაძლებლობაც კი მოუკვდება „რუსულ ოცნებას“. დარწმუნებული ვარ, დაცვის მხარისთვის ესეც მნიშვნელოვანი იყო, რომ პოლონელი ექიმები ყოფილიყვნენ დაშვებული, რათა დამატებითი მტკიცებულება ყოფილიყო, თუმცა ვხედავთ, რომ „რუსული ოცნება“ არ უშვებს პოლონელ ექიმებს, - განაცხადა ხაბეიშვილმა.

„მე ვიბრძვი ჩემი შვილის სიცოცხლის გადასარჩენად“ - აცხადებს მიხეილ სააკაშვილის დედა გიული ალასანია და დასძენს, რომ სტრასბურგის სასამართლოსთვის საჩივარი უკვე დაწერილია და ის ელოდება თავისი შვილის თანხმობას, რომ საჩივარი გაიგზავნოს.

- მიჩვეული ვარ, რომ ყოველთვის ვუჯერებდი ჩემს შვილს, ვფიქრობდი, მას უფრო აქვს ეს ხედვა. მართალი გითხრათ. იურისპრუდენციასთან კავშირი არ მქონია, არ ვიცი, სტრასბურგი როგორ მუშაობს, არ მქონია არანაირი შეხება. მე სულ მეჩქარება, რადგან ვხედავ, რომ ამ კლინიკაში ბევრი ღირსეული ადამიანია, მედპერსონალის მიმართ თითქოს საყვედური არ მეთქმის, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ადამიანი ჯანმრთელობის თვალსაზრისით უკან მიდის. მე პოლიტკომენტატორი არ ვარ, მე ვიბრძვი ჩემი შვილის სიცოცხლის გადასარჩენად, - განაცხადა გიული ალასანიამ.

სააკაშვილის ადვოკატ შალვა ხაჭაპურიძის თქმით, მიხეილ სააკაშვილის თანხმობა თუ იქნება სტრასბურგის საჩივრის მომზადებაზე, რამდენიმე საათში დოკუმენტი სტრასბურგის სასამართლოს გაეგზავნება.

რუსეთის ტვირთი ოკუპირებული აფხაზეთიდან – თურქეთში

რუსული მედია იუწყება, რომ რუსეთმა თურქეთისთვის საქონლის მიწოდება ოკუპირებული აფხაზეთის გავლით დაიწყო. მანამდე გავრცელდა ინფორმაცია, რომ სოხუმში „პირველი საკონტეინერო მატარებელი“ ჩავიდა. როგორც მედია ვარაუდობდა, ეს იყო საერთაშორისო სანქციების გვერდის ავლის რუსეთის კიდევ ერთი სქემა.

გამოცემა SOVA წერს, რომ სოხუმიდან თურქეთში ტვირთის გასაგზავნად ანატოლიის გემი გამოიყენებოდა. ამავე ინფორმაციით, ახლა ტრანზიტის ფაქტი დაადასტურა ოკუპირებული აფხაზეთის ე. წ. სახელმწიფო საბაჟო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ალიას ლაბახუამ.

„ცოტა ხნის წინ ჩამოვიდა მატარებელი 62 კონტეინერით. ეს იყო საქონლის ტრანზიტი რუსეთის ფედერაციიდან თურქეთში. მატარებელი დაუბრკოლებლად შემოვიდა, საბაჟო სამსახურის მხრიდან არანაირი შეფერხება არ ყოფილა. ეს არ არის პირველი მერცხალი, იყო სხვა ტრანზიტები“ , - განაცხადა მან პრესკონფერენციაზე.

ლაბახუას თქმით, მატარებელი საპირისპირო მიმართულებით - რუსეთის ფედერაციაში სხვა ტვირთით წავა.

„აფხაზეთისა და რუსეთის ხელმძღვანელობას შორის შეთანხმების შესაბამისად, მხარეებმა უნდა უზრუნველყონ საქონლის შეუფერხებელი ტრანზიტი მათი სახელმწიფოების ტერიტორიებით. იქ საბაჟო გადასახადი მცირეა, მაგრამ ჩვენს ტერიტორიაზე ასეთი პროცედურის ფაქტი ბევრს მეტყველებს: დღეს ერთი მიწოდება, ხვალ მეორე და ასე, როგორც ამბობენ, ჩვენი სახელმწიფოს ბიუჯეტი „კაპიკობით“ შეივსება“ , - დასძინა ლაბახუამ.

ამირან გურიელიძე

უცხოეთი

აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი თურქეთსა და უნგრეთს მოუწოდებს, დაუყოვნებლივ დაამტკიცონ ნატოში გაწევრიანების შესახებ შვედეთის განაცხადი. „თურქეთსა და უნგრეთს მოვუწოდებთ, დაუყოვნებლივ მოახდინონ შვედეთის გაწევრიანების განაცხადის რატიფიცირება, რათა მივესალმოთ შვედეთს ატლანტიკურ ალიანსში რაც შეიძლება მალე“, - აღნიშნა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა. რაც შეეხება ფინეთს, რომელიც ათწლეულების განმავლობაში არ გეგმავდა ნატოში გაწევრიანებას, ეს გადაწყვეტილება რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ მიიღო. 4 აპრილს ქვეყანა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრი გახდა.

* * *

საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი სახელმწიფო ვიზიტით პეკინში ჩავიდა. მასთან ერთად ჩინეთს ევროკომისიის პრეზიდენტი ურსულა ფონ დერ ლაიენიც სტუმრობს. ევროპელი ლიდერების სამდღიანი ვიზიტის მიზანია, ჩინეთმა უკრაინაში რუსეთის შეჭრას მხარი არ დაუჭიროს. საფრანგეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ოფიციალური პირის განცხადებით, ჩინეთი ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, რომელსაც შეუძლია დაუყოვნებელი და რადიკალური გავლენა მოახდინოს კონფლიქტზე ერთი ან მეორე მიმართულებით. დასავლური მედიის ინფორმაციით, ბოლო თვეების განმავლობაში ჩინეთს ევროპელი ლიდერები სტუმრობდნენ, კერძოდ, გერმანიის კანცლერი ოლაფ შოლცი, ევროპული საბჭოს პრეზიდენტი შარლ მიშელი და ესპანეთის პრემიერ-მინისტრი პედრო სანჩესი.

* * *

აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა მანჰეტენის სასამართლო დარბაზში მის წინააღმდეგ წარდგენილი ბრალდებები მოისმინა და ბრალდების 34 პუნქტზე თავი უდანაშაულოდ ცნო. პროკურატურის განცხადებით, ტრამპი მონაწილეობდა უკანონო გეგმაში, რომელიც მისი 2016 წლის საპრეზიდენტო კამპანიისთვის საზიანო ინფორმაციის ჩახშობას ისახავდა მიზნად. ამის ნაწილია ზრდასრულთა ფილმების მსახიობ სტორმი დენიელსისთვის გადახდილი 130 ათასი დოლარი. მომდევნო პროცესი 4 დეკემბერს არის ჩანიშნული.

* * *

რუსეთი იძულებული იქნება ფინეთის ნატოში გაწევრიანების გამო კონტრზომები მიიღოს, - ასე გამოეხმაურა კრემლის პრესსპიკერი დმიტრი პესკოვი ფინეთის ნატოში გაწევრიანების საკითხს. „ჩვენ ყურადღებით დავაკვირდებით, რა მოხდება ფინეთში, როგორ გამოიყენებს ჩრდილოატლანტიკური ბლოკი ფინეთის ტერიტორიებს იარაღის სისტემების, ინფრასტრუქტურის განთავსების თვალსაზრისით, რომელიც ჩვენს საზღვრებთან ახლოს იქნება და პოტენციურად გვემუქრება. ზომები ამის მიხედვით იქნება მიღებული“, - განაცხადა პესკოვმა.

* * *

ისრაელის პოლიციამ იერუსალიმში, ალ-აქსას მეჩეთში შეტაკებების შემდეგ, 350-ზე მეტი ადამიანი დააკავა. სამართალდამცავი უწყების ცნობით, დაკავებულთა შორის არიან ნიღბიანი პირები და ისინი, ვინც ფოიერვერკებსა და ქვებს ისროდა, ასევე, არეულობის მომწყობი ადამიანებიც, რომლებმაც დააზიანეს და შეურაცხყვეს მეჩეთი. ალ-აქსას მეჩეთი მუსლიმთა წმინდა ადგილია და აგებულია ე. წ. ტაძრის მთაზე, რომელიც იუდეველთათვის უწმინდეს ადგილს წარმოადგენს.

მოამზადა
ია შველიძემ

„საქართველოში ადამიანის უფლებების მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა, პირიქით, არაერთი კუთხით გაუარესდა კიდეც“

ხატია იაშვილი 555 18 48 88

სახალხო დამცველმა საქართველოს პარლამენტში 2022 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ წლიური ანგარიში წარადგინა

სახალხო დამცველმა საქართველოს პარლამენტში 2022 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ წლიური ანგარიში წარადგინა. 376-გვერდიანი დოკუმენტი 31 თავისა და 2 დანართისგან შედგება. მასში წარმოდგენილია კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით არსებული გამოწვევები და პროგრესი, ასევე, მიმოხილულია გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა.

„2022 წელს საქართველოში ადამიანის უფლებების მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა, პირიქით, არაერთი კუთხით გაუარესდა კიდეც“, - ამ შეფასებით იწყება სახალხო დამცველის, ლევან იოსელიანის წლიური ანგარიში, რომელსაც მალე პარლამენტმა უნდა მოუსმინოს. ანგარიშში მოხვდა მიხეილ სააკაშვილისა და ნიკა გვარამიას საქმეები, სასამართლო რეფორმის ხარვეზები, მედიის შეზღუდული უფლებები და გამოუძიებელი 5 ივლისის საქმე, ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მძიმე უფლებრივი მდგომარეობა და ა. შ.

ანგარიშში ასევე ვკითხულობთ, რომ უარყოფით მოვლენებს შორის უდავოდ უნდა განიხილებოდეს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმება და მის ნაცვლად ორი დამოუკიდებელი ინსტიტუტის - სპეციალური საგამოძიებო და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურების შექმნა, რომელთაც დღესდღეობით გამართული და ეფექტური ფუნქციონირებისთვის არანაირი ინსტიტუციური გარანტიები არ აქვთ. სახელმწიფოს ნებისმიერ დროს შეუძლია მათი რეორგანიზაცია.

„ასევე, საქართველოს პარლამენტმა არ გაიზიარა ევროკავშირის მიერ კანდიდატის სტატუსის მისაღებად შემუშავებული წინაპირობები სასამართლო ხელისუფლების რეფორმირებასთან დაკავშირებით. შედეგად, არც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმა მიმდინარეობს და არც სასამართლო კანონმდებლობის დახვეწისა და ხარვეზების აღმოფხვრის პროცესი. ნეგატიურ მოვლენათა შორის არის „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მომზადება (2022 წელს) და შემდგომ მისი ინიცირება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები კითხვის ნიშნებს აჩენს სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით. ამ მხრივაც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება უნდა აღინიშნოს. კვლავ გამოწვევად რჩება პოლიტიკურად ნეიტრალური პროკურატურის სისტემის ჩამოყალიბება. არაერთი გამოძიების პროცესში გამოვლინდა მნიშვნელოვანი ხარვეზები, რომლებიც არ შეესაბამება ეფექტიანი გამოძიების კრიტერიუმებს, ან იკვეთება სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა. მაგალითად, აშკარა პოლიტიკური ელფერი ჰქონდა ნიკა გვარამიას და ასევე, ე. წ. კარტოგრაფების საქმეზე მიმდინარე გამოძიებას.

ბოლო წლებში ქვეყანაში გამოხატვის თავისუფლების უფრო მეტად შეზღუდვის ტენდენცია შეინიშნება, მათ შორის, პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა, ნივთის დაზიანება, თავდასხმა, დევნა, მუქარა, პირადი ცხოვრების საიდუმლოების ხელყოფა, სავარაუდო არაკანონიერი მიყურადება. გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფრთხეს აღრმავებს ასევე, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში გატარებული ცვლილებებიც, რასაც მედიაორგანიზაციების და მათი წარმომადგენლების წინააღმდეგ სასამართლოში წარდგენილი სარჩელების სიმრავლეც ადასტურებს.

საანგარიშო პერიოდში კვლავ ადგილი ჰქონდა შეკრების უფლების შეზღუდვას. გრძელდებოდა შეკრების მონაწილეთა ადმინისტრაციული დაკავება წვრილმანი ხულიგნობისა და სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნის დაუმორჩილებლობის მიზეზით. ეს პრაქტიკა 1984 წელს მიღებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს ეფუძნება და იგი ადამიანის უფლებებთან და ძირითად თავისუფლებებთან თავსებადობის მინიმალურ სტანდარტსაც კი ვერ აკმაყოფილებს.

ეფექტიანი გამოძიების სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს 2021 წლის 5 ივლისს ლგბტქ+ პირებისა და ჟურნალისტების მიმართ განხორციელებული ძალადობრივი ქმედებების საქმეზე ჩატარებული გამოძიება. თავის მხრივ, პირველი ინსტანციის სასამართლომ დაარღვია სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი, რადგან სასჯელის განსაზღვრისას არ გაითვალისწინა კონკრეტულ პირთა მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტები და მათი პიროვნება.

დემოკრატიული სივრცის შეზღუდვის ფონზე განსაკუთრებით შემაშფოთებელი იყო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 2022 წლის 6 სექტემბერს შეტანილი ცვლილებები (ე. წ. მოსმენების კანონი), რომლითაც საგამოძიებო უწყებებს შესაძლებლობა მიეცა, უფრო ხანგრძლივად ჩატარონ ფარული საგამოძიებო მოქმედებები, უფრო მეტი დანაშაულის ფაქტზე გამოძიების მიმდინარეობისას. ფარული მიყურადების კანონმდებლობასთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველის სარჩელზე საკონსტიტუციო სასამართლოს დღემდე არ გამოაქვს გადაწყვეტილება.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე პასუხისმგებელია სახელმწიფო და გელათის სამონასტრო კომპლექსის სარეაბილიტაციო სამუშაოების საქართველოს საპატრიარქოსთვის გადაბარება არ შეესაბამება არსებულ საკანონმდებლო მოწესრიგებას.

პენიტენციური სისტემა პატიმრების სხვადასხვა მეთოდებით გაჩუმებაზეა ორიენტირებული. ამ მხრივ უმთავრესი პრობლემა არაფორმალური მმართველობაა. დღემდე შეუსრულებელია სახალხო დამცველის რეკომენდაცია პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული კრიმინალური სუბკულტურის დაძლევის სტრატეგიის შემუშავებასთან დაკავშირებით.

კვლავ სერიოზულ გამოწვევად რჩება დახურულ დაწესებულებებში პატიმართა დეესკალაციის ოთახებსა და სამარტოო საკნებში კანონით გათვალისწინებული საფუძვლების გარეშე, ხანგრძლივად მოთავსების მანკიერი პრაქტიკა. ასევე, პრობლემურია პატიმრებისთვის სომატურ და ფსიქიატრიულ ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა, რაც ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა პატიმრის გარდაცვალების მიზეზიც გახდეს.

კვლავ გაუმართავია პატიმართა პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების მექანიზმი, ვინაიდან პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების საკითხებზე მომუშავე ადგილობრივი საბჭოები ხშირად იდენტური მოცემულობების საქმეებში განსხვავებულ გადაწყვეტილებას იღებენ. მისასალმებელია, რომ საქართველოს პრეზიდენტმა გაითვალისწინა სახალხო დამცველის წინადადება და „შეწყალების წესის დამტკიცების შესახებ“ ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანით უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ პირთა მიერ შეწყალების უფლებამოსილების გამოყენების ვადა 20-დან 15 წლამდე შემცირდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში კვლავ გამოწვევად რჩება სამხრე კამერების გამოყენების ვალდებულების არარსებობა, აუდიო და ვიდეოჩანაწერების წარმოება. პოლიციის სივრცეები, სადაც დაკავებულს უწევს ყოფნა, ვიდეომეთვალყურეობის სისტემებით სრულად კვლავ არ არის დაფარული. მეტიც, პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ შემოწმებულ პოლიციის დაწესებულებაში კამერების რაოდენობა მკვეთრად შემცირებულია. ეს ტენდენცია არასათანადო მოპყრობის პრევენციის თვალსაზრისით განსაკუთრებულად საგანგაშო და მკვეთრად უკან გადადგმული ნაბიჯია.

ქვეყანაში დაიწყო ფსიქიატრიული დაწესებულებების და დიდი ზომის ბავშვთა რეზიდენტული დაწესებულებების დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი, რაც სახალხო დამცველის წლების განმავლობაში განმეორებადი რეკომენდაცია იყო. ასევე, დამტკიცდა 2022-2030 წლების შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების და დეინსტიტუციონალიზაციის სტრატეგია და 2023-2025 წლების სამოქმედო გეგმა.

თუმცა, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მოთავსებული პაციენტები, რომლებიც აქტიურ მკურნალობას არ საჭიროებენ, სათემო სერვისების სიმწირის და იმის გამო, რომ წასასვლელი არსად აქვთ, დაწესებულებას ვერ ტოვებენ. აუცილებელია გაიზარდოს სათემო სერვისების რაოდენობა და გეოგრაფიული დაფარვის არეალი.

დიდი ზომის დაწესებულებების კონტექსტში მნიშვნელოვანია ნინოწმინდის პანსიონის საქმე, რომელიც პანსიონში ბავშვის უფლებათა სისტემურ დარღვევებს, არასრულწლოვანთა მიმართ წლების განმავლობაში დამამცირებელ, არაადამიანურ და წამებასთან გათანაბრებულ მოპყრობას შეეხება. სამწუხაროდ, გამოძიების პროცესში მნიშვნელოვანი და არსებითი ხარვეზებია. რიგ შემთხვევებში, 2016 წელს დაწყებული სისხლის სამართლის საქმის გამოძიება დღემდე გრძელდება და პასუხისგებაში არავინ მიცემულა.

გენდერული თანასწორობის კონტექსტში საკანონმდებლო დონეზე მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა. კერძოდ, გენდერული კვოტირების მოქმედებების ვადა 2032 წლის ჩათვლით გახანგრძლივდა. ამოქმედდა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლისათვის გასაცემი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესი.

ნეგატიური მოვლენაა, რომ წლებია, არ გაუმჯობესებულა გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მკვლელობების (ფემიციდის) კუთხით არსებული ვითარება და არც შემთხვევების კლების ტენდენცია შეინიშნება.

მნიშვნელოვანი გამოწვევაა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისებზე წვდომა, განსაკუთრებით, სოფლად მცხოვრები და შშმ ქალებისათვის. ჯერ კიდევ არის შეუსაბამობები ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციით გათვალისწინებულ სტანდარტებთან (მაგალითიც სს კოდექსში გაუპატიურების პრობლემური ჩანაწერი). კვლავ არ დამტკიცებულა „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ეროვნული რეფერირების პროცედურები.“

სიღარიბე და განსაკუთრებით, ბავშვთა სიღარიბე კვლავ ქვეყნის ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევად რჩება. 2021 წელთან შედარებით, 2022 წელს საარსებო შემწეობის მიმღები არასრულწლოვნების რაოდენობა 40%-ით გაიზარდა და 330 148 შეადგინა. ბავშვთა სიღარიბის მზარდი ტენდენციის მიუხედავად, სახელმწიფოს ჯერ კიდევ არ შეუმუშავებია მისი შემცირების ეფექტიანი მექანიზმი.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის მიმართულებით კვლავ პრობლემურია ინკლუზიური განათლების ხარისხი და უწყვეტობა, სკოლის პერსონალისა და მშობლების ინფორმირებულობა ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებით, დასაქმების სირთულეები, დამსაქმებლების მხრიდან სტიგმის შემცველი დამოკიდებულება; სხვადასხვა დონეზე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში შშმ პირთა და მათი ორგანიზაციების არსებითი მონაწილეობა. მათ შორის, შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ადგილობრივი საბჭოების საქმიანობა.

კვლავ არ შემუშავებულა უსახლკარო პირის სრულფასოვანი საკანონმდებლო განმარტება და სათანადო საცხოვრებლის უფლების რეალიზაციისთვის აუცილებელი ჩარჩო-კანონმდებლობა. არ არსებობს უსახლკარო პირთა ერთიანი, ხოლო რიგ მუნიციპალიტეტებში - ადგილობრივ მონაცემთა ბაზები.

ერთ-ერთი ყველაზე გარიყული და დაუცველი ჯგუფის - ხანდაზმულთა 36% სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაშია რეგისტრირებული. სამწუხაროდ, მიუხედავად სახალხო დამცველის რეკომენდაციებისა, „საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხებზე სახელმწიფო კონცეფციის 2017-2018 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის“ შესრულების ანგარიშის შედეგების განხილვა და გათვალისწინება კვლავ არ მომხდარა.

დღემდე არ შემუშავებულა ე.წ. ნგრევად შენობებში მცხოვრებ დევნილთა განსახლების სპეციალური წესები. 2022 წლის ბოლოსთვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველ 35 ობიექტში 716 ოჯახი ცხოვრობს.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე გრძელდება მოქალაქეთა უკანონო დაკავებები და არასათანადო მოპყრობა. ოფიციალური მონაცემებით, 2022 წელს, საოკუპაციო ხაზზე, ცხინვალის რეგიონის მიმართულებით - 42, ხოლო ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით 13 პირი დააკავეს. დაფიქსირდა უკანონო „ბორდერიზაციის“ 69 შემთხვევა. უმნიშვნელოვანეს გამოწვევად რჩება ოკუპირებულ რეგიონებში მშობლიურ ენაზე განათლების ხელმისაწვდომობის საკითხი, რის გამოც ორივე რეგიონში ყოველწლიურად იკლებს მოსწავლეთა რაოდენობა. ქართულ ენაზე სწავლის გაგრძელების მიზნით, მშობლებს მუდმივი საცხოვრებლის დატოვება და შვილების საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოყვანა უწევთ.

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთათვის რთულია განათლების უფლებაზე ხელმისაწვდომობა, მათი სახელმწიფო უწყებებში გადაწყვეტილების მიღების პროცესში პროპორციული და თანასწორი ჩართულობა და სხვ.

საქართველოს სახალხო დამცველი წლებია სახელმწიფოს დისკრიმინაციასთან ბრძოლისა და თანასწორუფლებიანობის მისაღწევად ერთიანი პოლიტიკის დოკუმენტის შექმნისკენ მოუწოდებს. თუმცა, არათუ ერთიანი დოკუმენტი, არამედ საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებულ ადამიანის უფლებათა დაცვის 2022-2030 წლების ეროვნულ სტრატეგიაში ლგბტ+ ადამიანები საერთოდ არ არიან მოხსენიებულნი.

პირველადი ჯანდაცვის სისტემის გამოწვევას წარმოადგენს ექთნების დეფიციტი, ძველი ინფრასტრუქტურა, სუსტი კავშირები სოფლის ექიმებსა და სხვა სპეციალისტებს შორის, ასევე, პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების დაფინანსების გართულებული და ფრაგმენტული სისტემა.

მისასალმებელია, რომ სახალხო დამცველის აპარატის აქტივობების შედეგად, 2022 წლის 2 მაისიდან ქვეყნის მაღალმთიან მუნიციპალურ საავადმყოფოებში ამოქმედდა „დიალიზისა და თირკმლის ტრანსპლანტაციის სახელმწიფო პროგრამა“ და ბენეფიციარები სათანადო მომსახურებით არიან უზრუნველყოფილი.

საანგარიშო პერიოდში გამოვლენილი უფლებადარღვევების აღმოსაფხვრელად სახალხო დამცველის აპარატმა სახელმწიფო უწყებებს 74 რეკომენდაცია/წინადადებით მიმართა. მოამზადა 24 სპეციალური ანგარიში და 3 ალტერნატიული ანგარიში საერთაშორისო ორგანოებში წარსადგენად, 21 კონსტიტუციური სარჩელი, 20 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება, 1 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის და 5 კომუნიკაცია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტისთვის. ათობით ვიზიტები განახორციელა სხვადასხვა დაწესებულებებში უფლებადარღვევებისა და გამოწვევების იდენტიფიცირებისა და მონიტორინგის მიზნით“, - ნათქვამია სახალხო დამცველის 2022 წლის ყოველწლიურ ანგარიშში.

გზა განკაცებისა – რწმენა და სიყვარული

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

ჯერ კიდევ 2009 წელს, როცა ნათია ჯიმშელეიშვილმა ხელოვანთა საზოგადოება „მზის თეატრი“ დააფუძნა და თავისი ინოვაციური პროექტების განხორციელება დაიწყო, იმთავითვე ცხადი გახდა, რომ კულტურის სფეროს ამ ახალგაზრდა, ნიჭიერი ქალბატონის სახით ერთგული მოღვაწე შეემატა

ბევრის მთქმელია, რომ აღნიშნული საზოგადოების ეგიდით არაერთი კულტურულ-საგანმანათლებლო, საქველმოქმედო და სხვა სახის ღონისძიებები იმართება, რომელთა წარმატებას ნათია ჯიმშელეიშვილის კრეატიულობა განაპირობებს. სათქმელია ისიც, რომ ქალბატონი ნათია მრავალმხრივი ინტერესებით გამორჩეული პიროვნებაა: წერს ლექსებს, ქმნის მუსიკას, მღერის, ცნობილი ჟურნალისტია, პედაგოგი, მწერალი და ყურადღებას იპყრობს თავისი შემოქმედებითი აქტიურობით. მისი ლექსები თარგმნილია ინგლისურ, თურქულ და იტალიურ ენებზე, იბეჭდება ლიტერატურულ გამოცემებში. ქალბატონი ნათიას ცხოვრების თითოეული დღე შემოქმედებითი სიახლეებისა და ძიების სულისკვეთებითაა აღსავსე. გამოცემლობა შპს „უქიმერიონის“ დირექტორისა და მთავარი რედაქტორისთვის სამკაულებისა და აქსესუარების დიზაინერობა ესთეტიკურობისა და სულიერი სრულყოფის გზაა, რომელსაც წარმატებით ადგას - ის ამ სფეროშიც პოპულარულია. ამასთან, გამოირჩევა საზოგადოებრივი საქმიანობით. ამ დიდი შემართებისა და ენერგიის წყარო კი მისი წინაპრები, ის რწმენა და სიყვარულია, რომელიც ასაზრდოებს და აძლიერებს. დღეს ქალბატონი ნათია ჩვენი გაზეთის სტუმარია და თავის აზრებს გვიზიარებს.

- კალენდარული თუ სულიერი დაბადების თარიღი? რომელს აღნიშნავთ და, საერთოდ, რა აზრის ხართ დაბადების დღეების საზეიმო აღნიშვნაზე?

- როგორც ნათქვამია, პირველად ბიოლოგიურად იბადები, მეორედ მაშინ, როცა შენი ამქვეყნად მოვლინების საკუთარ მისიას აღმოაჩენ. მე ორივე დაბადების დღე მიყვარს, ბიოლოგიურიც და სულიერიც. ბიოლოგიურს წელიწადში ერთხელ აღვნიშნავ, სულიერს კი ყოველდღე.

- ხე ფესვებითაა ძლიერი, ადამიანი - წინაპრებით. როცა თქვენს წინაპრებს იხსენებთ...

- წინაპარი, როგორც გესმით სიტყვიდან, განიმარტება წინა პირი, ანუ შენამდე არსებული პიროვნება. წინას გარეშე არ არსებობს მომდევნო, მე მათი აღმონაცენი ვარ და ცხადია, სასიცოცხლოდ საარსებო მნიშვნელობა აქვს, თუ ვინ და როგორი იყო ჩემი წინაპარი. ჩემთვის მათი არსებობა დიდად საამაყოა, რადგან ვინც მახსოვს და ვინც გადმოცემით ვიცი, ყველა მეამაყება. განსაკუთრებით ჩემს შვილებთან მიყვარს ჩემი დიდი ბებიების და ბაბუების ხსენება, მათი ლამაზი ამბების საშუალებით ვაცნობ, ვისი გენისა არიან.

- ტრადიცია და დღეგანდელობა რამდენად თავსდება ერთმანეთთან და ეროვნული ცნობიერების გასაღრმავებლად უპირატეს საზრუნავად რა გესახებათ?

- ტრადიციების დაცვაც მიყვარს. როცა წინაპარს ხშირად ვიხსენებ, ცხადია, მათი ცხოვრების დეტალებს სიამოვნებით ვიზიარებ, თუმცა ვფიქრობ, რომ ტრადიციისა და დღევანდელობის შერწყმა ისე ლამაზად და უმტკივნეულოდ უნდა მოახერხო, რომ არც ერთს ავნო და არც მეორეს. მე მიყვარს სიახლეები, ამ სიახლეებში სინთეზურად დევს სიძველე და ამაშია მთელი ესთეტიკური სიამოვნება. ეროვნული კი ცნობიერების გასაღრმავებელად უპირველესი საზრუნავია. არ გადავიყვაროთ ჩვენი სამშობლო მისი რთული პირობების გამო, რადგან ეს სირთულეები, პირველ რიგში, ჩვენი, ადამიანების დამსახურებაა. უკეთ უნდა გავიცნოთ ჩვენი ქვეყნის წარსული, დღევანდელობა და ჩვენი სიყვარულის დამსახურებით უნდა გავიმდიდროთ ეროვნული ცნობიერება. ეროვნული ცნობიერების ასამაღლებლად უპირველესი მისია აკისრია განათლებას.

- ოჯახი ერის სარკეა, ერის სიძლიერის წყარო... როგორი ოჯახებია დღეს საქართველოში?

- სამწუხაროდ, წევრდაფანტული ოჯახები უფრო მეტია (არ გამოვიყენე სიტყვა „დაშლილი“). ეს დაფანტულობა ბევრი მიზეზის გამოა განპირობებული, ერთ-ერთი სწორედ ქვეყნის მდგომარეობით გამოწვეული ეკონომიკური პირობებია. მეორე - პირადი შეუთავსებლობის მიზეზები და ასე შემდეგ, თუმცა არის ისეთი ოჯახები, რომლებიც ნამდვილად საამაყოა თავისი სიმშვიდით, სიყვარულით და ერთიანი ორგანიზმის შეგრძნებით. ისეთი ოჯახებიც გვხვდება, გარედან რომ შენიღბულად ბედნიერი ჩანს და შიგნით ათასგვარი მანკიერებით დგას უფსკრულის პირზე.

- თუ ერთი ადამიანი უსმენს, მწერალს მშვიდად შეუძლია აკეთოს თავისი საქმეო - ამ შეხედულებას იზიარებთ?

- გააჩნია, რომელ მწერალს უსმენს. სინამდვილეში მწერლის ხმა მისი უზენაესობის, ერის ხმაა. მწერლის მისია სწორედ ის არის, რომ შეგონება მისცეს ერს თავისი ნაწარმოებებით. მთავარი სათქმელი მისი ლიტერატურული სიუჟეტებია, პოეტისთვის - ლექსი. იყო დრო, როცა მწერალს ჭკუას ეკითხებოდნენ და უსმენდნენ, იყო დრო, როცა მწერალთა კავშირის მთავარი სიტყვის ეშინოდა ხელისუფალთ, რადგან მათი აზრი მთავარი წერტილი იყო. დღეს ეს რადიკალურად შემოტრიალდა, მწერალს აღარავინ უსმენს. ყოველ შემთხვევაში, მათი სიტყვით გადაწყვეტილებას არავინ იღებს, ამიტომაც ვეღარ ვართ მშვიდად, მისი უზენაესობის - ერის ხმა აღარ არის მკაფიო ხელისუფალთათვის.

- შეგვახედეთ თქვენს შემოქმედებით ლაბორატორიაში - როგორ წერთ, რას წერთ, სად აქვეყნებთ...

- ჩემი შემოქმედება მრავალმხრივია, აქედან გამომდინარე, არა მარტო ვწერ... მაგრამ შეკითხვის თანახმად მოგახსენებთ, რომ კალამი და სიტყვა ჩემთვის მთავარი სიმბოლოებია ცხოვრებაში. არაფერი ისეთი ძვირფასი არ მაქვს, როგორც კალამი და არაფერი ისეთი ძლიერი და მგრძნობიარე, როგორიც სიტყვა. ორივე სიცოცხლის არსად მიღირს. სამი წიგნის ავტორი ვარ. იმ ასაკიდან „ვწერ“, როცა წერა არ ვიცოდი. ჩემი ლექსები თარგმნილია ინგლისურ, თურქულ და იტალიურ ენებზე, იბეჭდება ლიტერატურულ გამოცემებში და ხშირი პოეტური საღამოებით მიდის საზოგადოებამდე.

- ემპათიური ადამიანი ხართ? საზოგადოებაში ყოფნა გირჩევნიათ თუ განმარტოება?

- ემპათიური ვარ, შეძლებისდაგვარად მესმის ჩემ ირგვლივ ადამიანების, თუმცა ბოლო დროს სიტყვიერი პროტესტის გრძნობაც ამიმაღლდა და ამას სამართლიანად აღვიქვამ. აქედან გამომდინარე, სოციალური პიროვნება ვარ და მარტო ყოფნა დიდად არ მხიბლავს. თუმცა არის ხანდახან საჭიროება, რომ მხოლოდ ჩემს ეგოსთან დავრჩე და ვისაუბრო.

- ვინ მიგაჩნიათ თქვენს ლიტერატურულ მასწავლებლად და რატომ? რა ზეგავლენა იქონიეს მათ თქვენს პიროვნებასა და შემოქმედებაზე?

- ამ შემთხვევაში, ალბათ, მკითხველი კლასიკოსთა ჩამონათვალს ელოდება, რომლებსაც მართლა დიდი გავლენა აქვთ ჩემს ლიტერატურულ გემოვნებაზე, მაგრამ ვიქნები განსხვავებული და თანამედროვეობას ვცემ პატივს ამ შემთხვევაში. ჩემი პირველი ლექსები მოხვდა ისეთი კარგი პოეტების ხელში, როგორებიც იყვნენ ლილი ნუცუბიძე, ზურაბ კუხიანიძე და თორნიკე ერისთავი. მათ მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს ჩემს შემოქმედით განვითარებაზე.

- როცა ბუნებაში ხართ, როგორ კითხულობთ მის წიგნს, რას სწავლობთ მისგან და უზიარებთ სხვებს?

- ჩემთვის ბუნების უმნიშვნელოვანესი წიგნი, უალტერნატივოდ, ადამიანია. თვითონ ბუნება ძალიან მამშვიდებს, ამ დროს უფრო რომანტიზმში ვიძირები და ჩემი შემოქმედებითი პროდუქტი ვერ არის მეამბოხე, როგორც ტკივილის დროს დაწერილი ლექსი.

- ყველაზე მოუთმენელ ძალადობად რა მიგაჩნიათ? ჩვენში მკვეთრადაა გაზრდილი აგრესიული ფონი. ამის მიზეზი სიღრმისეულია თუ მხოლოდ სოციალური ფაქტორებითაა განპირობებული და სადაა გამოსავალი? ისიც სათქმელია და საწყენი, რომ ბედნიერი ქვეყნების რიცხვში თურმე 90-ე ადგილზე ვართ...

- ჩემთვის ძალადობა ყველა ფორმით მოუთმენლია. დიდ პატივს ვცემ გაწონასწორებულ ადამიანს, მეამბოხეს, ემოციურს, მებრძოლ, აღელვებულ ადამიანსაც კი, მაგრამ მოძალადე ადამიანი ჩემთვის ნებისმიერ შემთხვევაში მიუღებელია. აგრესიული ფონი ყოველთვის იყო, არის და იქნება აქტუალური, რომელსაც სხვადასხვა სოციალური მიზეზი აქვს, მაგრამ ძალადობა მხოლოდ ამის შედეგი არაა, ძალადობას ფესვი აქვს და ის სიღრმისეულია. ეს იმდენად ვრცელი თემაა, რომ ინტერვიუს ფორმაში მხოლოდ ამ პასუხით შემოვიფარგლები. თუმცა, აქვე აღვნიშნავ ერთს, რომ არასდროს, არსად, არცერთ ვითარებაში არ შევეგუები ძალადობას ბავშვებზე, რადგან, პირველ რიგში, ისინი თავს ვერ იცავენ, მეორე ის, რომ ამით ვზრდით მომავალ მოძალადეს.

- ციფრულ ეპოქაში ვცხოვრობთ. დიდი გადატვირთვა და გადაწყობა ცვლის ადამიანის ფსიქიკას, შეხედულებებს. ზოგი რობოტიზაციის საფრთხეზეც ალაპარაკდა. რას იტყოდით მათ გასაგონად, როგორ წარმოგიდგენიათ კაცობრიობის მომავალი?

- ამით რომ ღმერთს ვშორდებით, ეს მაშინებს ყველაზე მეტად, არადა, ყოველდღიურობად გვექცა. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ღმერთს დაშორებულ ადამიანს ვერანაირი ცივილიზაცია ვერ იხსნის, პირიქით, გაგვიგონია გადაშენებული ცივილიზაციის შესახებ. იმედია, აქამდე არ მივა კაცობრიობა.

- თქვენი ხვალინდელი დღე როგორ გესახებათ, ანუ თქვენი პროექტი, რომლის განხორციელებასაც აპირებთ...

- ძალიან იმედიანი და რისკიანი ადამიანი ვარ. ხვალინდელი დღე იმდენად წარმატებულად მესახება, რომ ეს არ მაძლევს მშვიდად დგომის საშუალებას, რადგან ზუსტად ვიცი, არასდროს არცერთი წარმატებისთვის მარტივად არ მიმიღწევია. აქედან გამომდინარე, მთელი ძალისხმევით ვიბრძვი იმ სინათლეში გასვლისთვის, სადაც უფლის ნებით, კარგი ამბები მელოდება როგორც პირად, ასევე, საზოგადოებრივ ცხოვრებაში. უახლოესი რამდენიმე პროექტიც ამ სინათლის ელემენტია.

- რა გვაქცევს ადამიანად? თქვენეული ხედვა, ანუ გზა განკაცებისა...

- მოკლედ და კონკრეტულად - ორი რამ: რწმენა და სიყვარული.

- გემოვნებაზე არ დავობენ თუ პირიქით, უნდა ვიდავოთ და უარი ვუთხარათ მდარეს? თოქ-შოუები, მხატვრულად სუსტი ნაწარმოებები ანაგვიანებენ ცნობიერებას. გამოსავალი?

- მთელი ცხოვრება მესმის - „გემოვნებაზე არ დავობენო“, გააჩნია, რა შემთხვევაში. ვფიქრობ, არ ვიდავოთ, მაგრამ ვიმსჯელოთ მაინც, რა არის მისაღები და რა - არა. რაც შეეხება თოქ-შოუებს, ამათ გემოვნებასთან არავითარი კავშირი არ აქვთ, ამაზე უნდა ვიდავოთ კი არა, საჭიროება მოითხოვს, რომ ვიომოთ, რადგან, სოციალური სივრცე და მედია დღეს მთავარი „აღმზრდელობითი“ სისტემაა, რაც უბინძურესი პროპაგანდისტული მასალით არის გაჯერებული. უგემოვნობამ შეჩვევა იცის, ჭირივითაა და ვეღარ მოიშორებ, ამიტომ უნდა ვიდავოთ.

- დამცრობილი კულტურა დაბალი კულტურის ადამიანებს ამრავლებს. არა მარტო სიმდიდრით და რეგალიებით, არამედ საკუთარი ცოდნით თავის მოწონება ცუდი ტონი რომაა, ვერ გაუგიათ არაერთ პრესტიჟულ სასწავლებელდამთავრებულებს...

- შეიძლება გქონდეს უმაღლესი განათლება, მაგრამ არ გქონდეს შინაგანი კულტურა. ეს სწორედ შინაგანი კულტურის სიმწირითაა გამოწვეული. ცუდი ტონია, რასაკვირველია, იმ საზოგადოებაში უპირატესად წარმოაჩინო თავი ყბედობითა და მკვეხარობით, რომელსაც შენსავით პრესტიჟული სასწავლებელი არ დაუმთავრებია. თავმდაბლობაში საოცრად ლამაზად ჟონავს შენი ინტელექტი და ამაზე კარგი სანახავი არაფერია.

- თქვენი ურთიერთობა აჭარასთან, მოგონებები, სურვილები...

- აჭარა ჩვენი პატარა ქვეყნის უდიდესი ისტორიის მქონე კუთხეა. განსაკუთრებული ადამიანები ცხოვრობენ, რამდენიმე მათგანს მოვინატრებ კიდეც, იმდენად ახლობლად ვთვლი. ბევრი სასიამოვნო ვიზიტი მახსოვს, შემოქმედებითიც და პირადიც. უსიამოვნო ადამიანები, როგორც ცხოვრებას სჩვევია, იმერეთშიცაა, აჭარაშიც და ყველა სხვა კუთხეშიც, მათი გახსენება ღირებულებას ვერ ქმნის, ამიტომ მე იმ სტუმართმოყვარე და გულიან ადამიანებზე ვამახვილებ ყურადღებას, ვინც ჩემს აჭარაში მინახავს.

- კითხვა, რომელიც გსურდათ და არ დამისვამს... დასვით და უპასუხეთ.

- ძალიან ბევრი შეკითხვა დარჩა ამ ინტერვიუს მიღმა, რადგან ამასაც თავის ფორმატი აქვს, თუმცა, ერთადერთი ასეთი შემიძლია გამოვყო: რას ეტყოდით საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ქართველებს? ქართველებო, სადაც უნდა იყოთ, დარჩით ქართველებად, რადგან ეს ისეთი გენია, რომ ვერანაირ მორალურ და პრინციპულ შენარევს ვერ იტანს. ბევრი ქვეყანა რაღაცით ჰგავს ერთმანეთს, მაგრამ საქართველო არავის ჰგავს, ის ერთია, როგორც ღმერთი. იამაყეთ ქართველობით.

> ***„მთელი ცხოვრება მესმის - „გემოვნებაზე არ დავობენო“, გააჩნია, რა შემთხვევაში. ვფიქრობ, არ ვიდავოთ, მაგრამ ვიმსჯელოთ მაინც, რა არის მისაღები და რა არა. რაც შეეხება თოქ-შოუებს, ამათ გემოვნებასთან არავითარი კავშირი არ აქვთ, ამაზე უნდა ვიდავოთ კი არა, საჭიროება მოითხოვს, რომ ვიომოთ, რადგან სოციალური სივრცე და მედია დღეს მთავარი „აღმზრდელობითი“ სისტემაა, რაც უბინძურესი პროპაგანდისტული მასალით არის გაჯერებული***

ბილ კლინტონი ნანობს...

აშშ-ის ყოფილ პრეზიდენტ ბილ კლინტონის თქმით, ის ნანობს, 1990-იან წლებში უკრაინა რომ დაარწმუნა, უარი ეთქვა ბირთვული იარაღის ფლობაზე. ამის შესახებ თეთრი სახლის ყოფილმა ლიდერმა ირლანდიურ მედიასთან ინტერვიუში განაცხადა.

მისივე განცხადებით, რუსეთი უკრაინაში არ შეიჭრებოდა, კიევს ბირთვული იარაღი კვლავაც თუ ექნებოდა.

ცნობისთვის: 1994 წლის იანვარში კლინტონმა რუსეთის მაშინდელ პრეზიდენტ ბორის ელცინსა და უკრაინის მაშინდელ პრეზიდენტ ლეონიდ კრავჩუკთან ხელი მოაწერა სამმხრივ შეთანხმებას, რის შედეგადაც უკრაინის ტერიტორიაზე არსებული ყველა ბირთვული იარაღი რუსეთს გადაეცა.

ამირან გურიელიძე

პოეტი, ჟურნალისტი სულხან წულუკიძე

სულხან წულუკიძის ლექსების კრებულის «წითელი წიგნი» რედაქტორი, საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე დავით თედორაძე წიგნის შესავალში წერს: «წარმოგიდგენთ ღირსებით სავსე ახალგაზრდა პოეტის სულხან წულუკიძის ლექსების კრებულს... რასაც ახლა გთავაზობთ, უფლებას მაძლევს განვაცხადო, რომ იგი მრავალსაუკუნოვანი ქართული პოეზიის ოქროს კარიერის შემადგენელი ნაწილია»



«აჭარა» სულხან წულუკიძეს შუახევში ესაუბრა.

- რა როლი აქვს თქვენს შემოქმედებაში ადგილის დედას?

- დედაზე ძვირფასი, მასზე საყვარელი და სათაყვანებელი სიტყვა ქართველებს არ დავგრჩენია. ადგილის დედა კიდევ უფრო ძვირად ღირებულია. კიდეც ვთქვი:

«როდესაც ქუჩებს ხეტიალით ვღლი და
ვასრულებ,
როცა წარსულზე უსაშველო ფიქრი იწყება,
ვიწვი და ცრემლის ბურთულები კეტავს
სასულეს,
ხალხს კი ჰგონია, ქრონიკული გრიპის სიცხე
მაქვს».

ადგილის დედას ჩვენი წარსული და აწმყო უკავშირდება და მომავალშიც მისი როლი უნდა დავიცვათ.

- ალბათ, საამაყოა, იყო იმ სოფლის შვილი, სადაც ქრისტეშობიდან 37 წელს ქრისტეს მოციქულებმა ტაძარი ააგეს და სახარება იქადაგეს.

- სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II მრავალგზის მიანიშნებს, რომ ქრისტიანობის აკვანი აჭარაში დაირწა. განა მარტო მე, თითოეულ დიდაჭარელს გვეამაყება, რომ ჩვენი წინაპრების ფესვები ამ ისტორიულ სოფელთანაა კავშირში. თარანგელოს მთა ჩვენი სალოცავი და საფიცარია. დიდაჭარა მიყვარს, მახსოვს, მუდამ მენატრება.

«ახლა მითებია შენი სინამდვილე,
დროს რომ გაატანეს სწრაფი ვაგონებით,
ვდგავარ თითქოს სვე-ბედს წერით ვიადვილებ,
წერას - უნიათო უცხო შთაგონებით».

იმასაც გეტყვით, რომ ჩემთვის ყველა სოფელი, ყველა დასახლება სათაყვანებელი და საყვარელია. იგიც ხომ ვინმეს ადგილის დედაა, მათ მიწაზეც ხომ ვინმემ ფეხშიშველი გაიარა. ჩემდა სამწუხაროდ, დიდაჭარას იშვიათად ვსტუმრობ. გულახდილად გეტყვით: ეს ჩემი ცხოვრების ნაკლადაც მიმაჩნია, ისე, გული და გონება აქეთკენ მომიწევს.

- რა გამოძახილს ჰპოვებს სიწმინდეები თქვენს შემოქმედებაში?

- «ჩემი ფიქრები ეჭვეულად რატომ
შიშობენ,
როდესაც ირგვლივ სიცხადეა ყველა
ოცნების,
როცა თვალები უყურებენ თვითონ
ღვთისმშობელს
მარად მომღიმარს და ფერებით
გასხივოსნებულს».

ის სიწმინდეები, ის ადგილები, ის დამოკიდებულება, რომელიც არსებობს წარსულსა და დღევანდელობას შორის, უკვალოდ არ უნდა ჩაიკარგოს. უშუალოდ დიდაჭარაზე ლექსი, ჯერჯერობით, არ დამიწერია. აჩქარება თემას ჩრდილს აყენებს. ბევრს დაუწერია, მაგრამ თამაზ წულუკიძის სადარად, ჯერჯერობით, დიდაჭარა ვერავინ შეაფასა. მეც კარგთა შორის უკეთესის ძიკიძის სადარად, ჯერჯერობით, დიდაჭარა ვერავინ შეაფასა. მეც კარგთა შორის უკეთესის ძებნაში ვარ და მგონია, «განწირული სუკლისკვეთება» სასურველ მიზნამდე მიმიყვანს.

- გვარი წულუკიძე დიდაჭარასთან რა კავშირშია?

- ჩვენი გვარი ქვეყნის ყველა კუთხეშია გაბნეული. წინაპრები აქ სხვა რეგიონიდან არიან გადმოსულები. ფესვები უფრო რაჭასთანაა კავშირში. დიდაჭარა გვარის ისტორიაში განსაკუთრებულ ადგილს არ იკავებს. იქ, ჩვენ გარდა, სხვა გვარის წარმომადგენლებიც სახლობენ. მათმა შთამომავლებმა სამშობლოსთვის ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთეს. გვარი მიყვარს, მაგრამ მის წარმომავლობას ამ კუთხესთან არ ვაკავშირებ.

- შუახევში საინტერესო ღონისძიების მონაწილე იყავით. როგორ აფასებთ აქაური პოეტების შემოქმედებას?

- შემოქმედი ადამიანი თავისებურ მიდგომას ითხოვს და მათი მუშაობაც კრიტიკოსების შესაფასებელია. ყველა მათგანი მიყვარს, ისინი ჩემი მეგობრებიც არიან. მსიამოვნებს მათი ლექსების მოსმენა. ასე იყო ამჯერადაც - ირმა კეკელიძემ, თემურ მაკარაძემ, ანრი და ლინდა მუთიძეებმა, მარია მახარაძემ, ლენა დიასამიძემ, მალვინა ზოიძემ, ანასტასია კეყერაძემ კარგად დაიწყეს და, იმედია, ასეც გააგრძელებენ. გამორჩეულად აღვნიშნავ ნიკოლოზ ფუტკარაძეს. მისი ადგილის დედა სოფელი ტომაშეთია. მეტს ვიტყვი როინ აბუსელიძეზე. იგი ჩემი უფროსი მეგობარიცაა. როცა ნიკოლოზისა და როინის ლექსებს ვკითხულობ, სულიერად ვმაღლდები, ენერგიით ვივსები.

- უფროსი თაობის პოეტებთან რა ურთიერთობები გაკავშირებდათ?

- ჩემი თაობის პოეტები მათ შემოქმედებას ვაფასებთ, როგორც იტყვიან: მათ ხნულზე ვიზრდებით. ჩვენ გვიხაროდა ბატონი შოთა ზოიძის გამოჩენა მწერალთა სახლში, ბათუმის ქუჩებში. მისი შემოქმედება გამორჩეული იყო. ჩემს ლექსებზეც მოუხდენია გავლენა მის დამოკიდებულებას, შეხედულებას. ამ ადამიანის გახსენება ჩემთვის დიდი პატივია. მრავალი პოეტია, რომლებთან ასაკობრივი ზღვარის მიუხედავად, კეთილი ურთიერთობები მქონდა. რამდენიმე მათგანთან შეხვედრებს, საუბრებს ახლაც ვაგრძელებ.

- ამბობენ, პოეტად უნდა დაიბადოო... თუ გახსოვთ ის დღე, როცა რითმამ მოგაკითხათ?

- ვეთანხმები ამ აზრს, ისე პოეტი ვერ გახდები. საქართველოში ძალიან რთულია, რომ პოეზიის ლაბირინთებში გზა გაიკვლიო, მკითხველს თავი მოაწონო. ეს პოეტების ქვეყანაა. კარგად მახსოვს, 6 წლის ვიყავი, გაზაფხულზე, მამასთან ერთად მიწას ვამუშავებდი კახაბრის დაბლობზე. მიწასთან, ბუნებასთან კავშირმა, გაზაფხულის განწყობამ სულში ლექსად ამოხეთქა. ახლაც ასეა. გაზაფხული ხომ სიცოცხლის, ბუნების გამოღვიძების დროა. ჩემშიც მიძინებული გრძნობები მაშინ იღვიძებს. წელიწადის ეს დრო კი დედასთან, ქალთან ასოცირდება.

«ახლა პირველი აპრილია, გარეთ სუსხია,
მალე იქნება გაზაფხული და პაპანაქებაც,
ახლა ჩემს სხეულს უშენისფრო სისხლი უსხია
და შენს ჭაღარა ხვეულებში დაბანაკებას
ცდილობს»...

ეს სტრიქონები დედას მივუძღვენი. დედა ჩემთვის სიცოცხლის, სიყვარულის, ყველა დადებითის საწყისია. აქვე ვიტყვი, რომ როგორც ადგილის დედაზე, სამშობლოზე, დედაზე ლექსების წერა რთულია, თუმცა საპატიო და ეს როგორ ხელმეწიფება, მკითხველმა განსაჯოს.

- უკვე ლექსების კრებულის ავტორი ხართ, მომავალს ამ გადასახედიდან როგორ ხედავთ?

- შემოქმედი ადამიანის ბედი ამინდზე და მოსავალზე არაა დამოკიდებული. ლექსი, სიტყვა გარემოებამ უნდა მიკარნახოს. ლექსთან, პოეზიასთან ჭიდილი მეტს ითხოვს და კიდეც გავუძლებ, დაწყებული ბილიკი შარაგზად გადაიქცევა.

- პროფესიასთან რა დამოკიდებულება გაქვთ?

- ჟურნალისტის რთულ და საპატიო საქმეს ვეჭიდები, მოქმედი ჟურნალისტი ვარ. ეს პროფესია ძალიან რთულია, თანაც საპასუხისმგებლო. მსურს ბოლომდე ვუერთგულო. ადამიანებს მიაწოდო სწორი ინფორმაცია პრობლემებსა და გასაჭირზე, მეტად სათუთ მიდგომას მოითხოვს. ჟურნალისტიკა ბოლომდე დახარჯვას, ენერგიას, შესაძლებლობების მაქსიმუმს ითხოვს. ბოლო დროს ლექსებისთვის ძალიან ცოტა დრო მრჩება. ჟურნალისტიკის ბრალია, უფრო მეტად მიმიზიდა.

- მისაბაძი ჟურნალისტი თუ გყავთ?

- ჩვენს რეგიონში მრავალი ღირსეული, წარმოჩენილი ჟურნალისტი გვყავდა. რამდენიმე დღის წინ აღესრულა ბატონი ავთანდილ დიასამიძე. იგი ჩემთვის ღირსეული დამრიგებელი და მისაბაძი ჟურნალისტი იყო. ბათუმის კოლორიტი იყო ნუგზარ ჯაფარიძე. მისი ნათქვამი სავიზიტო ბარათად რჩება.

- თუ გაიხსენებთ სატელევიზიო გადაცემას, რომელმაც თქვენზე გავლენა მოახდინა?

- მახსენდება გიორგი კალანდიას მიერ მომზადებული სიუჟეტი, რომელიც წლების წინ, გადაცემა «დროებაში» გავიდა. იგი «ჩვენებურებს» მიეძღვნა. რამდენიმე დღე ამ სიუჟეტის გავლენაში ვიყავი. მომაჯადოვა ჩვენგან წასული ქართველების მეტყველებამ, ყველა წინადადებას ცრემლებს რომ აყოლებდნენ, იმ ახალგაზრდებმა, ქართულს რომ სწავლობდნენ.

- თუ გქონიათ ჩვენებურებთან სტუმრობის პატივი?

- ჩემი საქმიანობის მთავარ მიზნად უცხოეთში საუკუნეების წინ გადახვეწილ თუ გადასახლებულ ქართველებთან ურთიერთობის გაღრმავება მიმაჩნია. ვერც ინეგოლსა და ვერც ფერეიდანს დღემდე ვერ ვესტუმრე, თუმცა, ღვთის წყალობით, აქ მცხოვრები ქართველების ძალისხმევით, ტარდება სახალხო და საღვთო დღესასწაულები «შუამთობა», «ტბელობა», «სელიმობა», «შუახევობა», «შემოდგომა ქედაში», «კოლხობა», «ნინოწმინდობა», «დიდაჭარობა» და ინეგოლიდან, ფერეიდნიდან ჩვენი ნაცნობები ჩამოდიან. მივესალმები მეცნიერული და ტურისტული ექსპედიციების მოწყობას ტაო-კლარჯეთში, ბურსა-ინეგოლში, თუნდაც, ფერეიდანში. თაობებმა უნდა იცოდნენ, ვინ იყო ჩვენი წინაპარი და საიდან მოდის საქართველოს სახელმწიფოებრიობა.

- ინეგოლი თუ ფერეიდანი - პირველად რომლის ნახვას ისურვებდი?

- ინეგოლი უფრო ახლოსაა აჭარასთან გეოგრაფიულად, ეთნიკურად, აღმსარებლობითაც, თუმცა მე საქართველოს ვერ დავყოფდი. ფერეიდანი უფრო შორეული ტკივილია. ჩემთვის ორივე რეგიონი სანატრელი და სათაყვანებელია. უფლის ნებით, ორივეს ვესტუმრები და ჩავეხუტები იქაურებს.

- გიყვართ თუ უყვარხართ?

- ვფიქრობ, რომ თუ სიყვარული არ შეგიძლია, ვერც სხვის სიყვარულს დაიმსახურებ. პირველ რიგში, უნდა გიყვარდეს.

- პირველად სიყვარული ვის აუხსენით?

- თანაკლასელს.

- როგორ დასრულდა?

- როგორც ბავშვური გატაცებები სრულდება ხოლმე.

- დაოჯახებული ხართ?

- სამწუხაროდ, არა, თუმცა რიგი წინაპირობა მაქვს და იმედია, უფლის შემწეობით, ყველაფერი კარგად იქნება. ნებისმიერ შემთხვევაში, პოეტი მუდამ სიყვარულითაა დამუხტული. სიყვარულის დეფიციტი არ მქონია.

- როგორი ოჯახის შექმნას ისურვებდით?

- სადაც ერთმანეთი უყვართ, სითბო იგრძნობა, სათქმელი გაგებულია და სიყვარული სხვაზე არ ნაწილდება.

- მშობლებისგან ეს სითბო თუ მიიღეთ?

- რა თქმა უნდა.

- რა პროფესიის არიან?

- დედა ფარმაცევტია, მამა - ინჟინერ-ტექნოლოგი. ჩვენი ოჯახი მეგობრობისა და კეთილი მეზობლობის მაგალითია. ორი შვილი ვიზრდებოდით ოჯახში. მეზღვაური ძმა მყავს, თუმცა ახლა შორეულ ზღვაოსნობას თავი მიანება და მცირე ბიზნესითაა დაკავებული.

- თუ მოგიმზადებიათ ტელესიუჟეტი მეზღვაურებზე?

- არა. საინფორმაციო გადაცემა შემოქმედებითი მუშაობის ფუფუნებას არ იძლეოდა, მაგრამ საავტორო გადაცემაზე მუშაობას ვაპირებ და... ჩემს მეგობარ მეზღვაურებს ერთ რეპორტაჟს მივუძღვნი.

- ახლოვდება 9 და 14 აპრილი. ამ თარიღებს რა მნიშვნელობას ანიჭებთ?

- ყველაზე დიდი ოცნება ქართველისთვის დამოუკიდებლობაა, ხოლო ყველაზე დიდი სიმდიდრე «ოქროსხმიან სიმებად გულში ამოხლართული» ქართული ენაა. 14 აპრილს დამოუკიდებლობის დღეს ვუტოლებ. დამოუკიდებლობა ბევრჯერ დავკარგეთ, მაგრამ ენას მუდამ ვეფერებოდით, ვამდიდრებდით. ყველაზე მეტად აჭარის მკვიდრებმა ვიცით შშობლიური ენის ფასი და ლამის მისი დაკარგვით გამოწვეული ტკივილი. კუთხე იყო ოკუპირებულიც, ანექსირებულიც, მაგრამ ენა არ დაგვიკარგავს და ამან გადაგვარჩინა. დედაენის დღე ჩემთვის ყველაზე დიდი დღესასწაულია.

სუსხიანი აპრილი და პოეზიით გამთბარი დღე

დარბაზი, რომელიც პოეზიის საღამოს მასპინძლობდა, ქართული სიტყვის მეხოტბეებისთვის უცხო არაა. აქ ერთ დროს შუახეველები გურამ დოჩანაშვილს, ზურაბ გორგილაძეს, ფრიდონ ხალვაშს, მიხეილ ქურდიანს, რეზო ჩხეიძეს, შოთა ზოიძეს, ჯემალ ქათამაძეს უსმენდნენ და საიუბილეო თარიღებს ულოცავდნენ

ღონისძიების ორგანიზატორმა, მწერალმა, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრმა, შუახევის კულტურის ცენტრის დირექტორის მოადგილე ვახტანგ გოგრაჭაძემ ბიბილიოთეკის დარბაზში შეკრებილთ ვიდეოკოლაჟი წარუდგინა, რომელმაც კიდევ ერთხელ გააცოცხლა ის სასიქადულო ადამიანები, რომლებსაც წლების წინ შუახევი მასპინძლობდა.

მოწვეულ პოეტებს: როინ აბუსელიძეს, ნიკოლოზ ფუტკარაძეს, ჯაბა გორგილაძეს, სულხან წულუკიძეს, პაატა აბაშიძეს, შუახევში მომუშავე ახალგაზრდა შემოქმედთ ირმა კეკელიძეს, მარიან მახარაძეს, ანრი და ლინდა მუთიძეებს, თემურ მაკარაძეს, მალვინა ზოიძეს, მეგი გოგიაშვილს, ლენა დიასამიძეს შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, პოეტი ფრიდონ დავითაძე, შუახევის რესურსცენტრის უფროსი ედუარდ გოგრაჭაძე, ვახტანგ გოგრაჭაძე მიესალმნენ.

დამსწრეთა წინაშე საკუთარი ლექსები, ნოველები, ჩანახატები წაიკითხეს შუახევის, ფურტიოს, უჩამბის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა.

პოეზიის საღამოზე მუსიკალური ნომრით წარსდგა შუახევის ხელოვნებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის სკოლის უჩამბის ფილიალის ანსამბლი «იავნანა».

საღამოზე წარადგინეს მწერალ მიხეილ დავითაძის წიგნი «გავხადოთ დედამიწა უკეთესი».

ღონისძიების ორგანიზატორმა, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა, საზოგადოების წარმომადგენლებმა მადლობის სიგელებითა და საჩუქრებით დააჯილდოვეს საღამოს მონაწილე პოეტები.

ღონისძიების დასრულების შემდეგ კომენტარი როინ აბუსელიძეს ვთხოვეთ: ძალიან მნიშვნელოვანი დღე იყო ჩემს ცხოვრებაში. მშობლიურ შუახევში გამართულ პოეზიის საღამოზე შევხვდით აქ მცხოვრებ ახალგაზრდა პოეტებს. ვიყავი მასპინძელიც და სტუმარიც. სუსხიანი აპრილის დღეს, თბილი მოფერებისა და კეთილი ურთიერთობების ჩამოყალიბების გარემო შეიქმნა. დავსახეთ სამომავლო გეგმები, პასუხები გავეცით დასმულ კითხვებს. პასუხებმა, მოწოდებულმა იდეებმა, როგორც პოეტს, მოტივაცია მომცა, ახალი ლექსებით გავახარო ჩემი შემოქმედების თაყვანისმცემლები. იმედისმომცემი თაობა მოდის, თუნდაც იმიტომ, რომ ქართული ლექსი, პოეზია აინტერესებთ. მჯერა, ისინი კიდევ უფრო დაიხვეწებიან. აპრილის პირველი დღეები შუახეველებს კეთილ მოგონებად დავუტოვეთ.

გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

ფერმერთა უფლებების დასაცავად

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

აჭარის მთიანეთის მუნიციპალიტეტებში იმყოფებოდნენ საქართველოს ფერმერთა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფესიული კავშირის პრეზიდენტი ირინე ფხოველიშვილი და სპეციალისტი ნიკა ჯავაშვილი

მათ ადმინისტრაციულ ერთეულებში მერიის წარმომადგენლებთან, სოფლებში დასაქმებულ სპეციალისტებსა და ფერმერებთან სემინარები გამართეს.

ირინე ფხოველიშვილმა ისაუბრა პროექტის „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფონდის მართვაში ფერმერების ჩართულობისა და მუნიციპალური თვითმმართველობის როლის გაძლიერების ხელშეწყობა“ თაობაზე. ამ პროექტის მიზანია ფერმერების გააქტიურება და მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობის ხარისხის გაუმჯობესება; სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან სასოფლო-სამეურნეო მიწის ფონდის განკარგვის პროცესში განხორციელებული აქტივობების მონიტორინგი და შეფასება; საქართველოს პარლამენტსა და მთავრობაში პროფკავშირების მიერ წარდგენილ ფერმერთა მდგომარეობასთან დაკავშირებული კონცეფციებისა და რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის გაუმჯობესება.

პროექტის დონორები არიან აშშ-ის „დემოკრატიის მხარდაჭერის ნაციონალური ფონდი“ და „პოლიტიკის ინსტიტუტი“.

სემინარები კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. ფერმერებმა და წარმომადგენლებმა მათთვის საინტერესო პრობლემებზე ამომწურავი პასუხები მიიღეს.

სემინარებს ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელები ესწრებოდნენ.

კალიუმი და მისი ზეგავლენა სასიცოცხლო პროცესებზე

ქეთევან კილაძე 593 73 45 74

სასიცოცხლო მნიშვნელობის მაკროელემენტებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კალიუმია, რომელიც ყველა ორგანიზმის უჯრედის შემადგენლობაში შედის და ნივთიერებათა ცვლის პროცესებში აქტიურად მონაწილეობს. ნატრიუმთან ერთად კალიუმი წარმოადგენს უჯრედთა მემბრანის საბაზისო ელემენტს, მონაწილეობს მემბრანული პოტენციალის წარმოქმნაში და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნერვულ-კუნთოვანი იმპულსის გატარებაში. ორგანიზმში კალიუმის დონის ცვლილება უჯრედთა ნორმალური მეტაბოლიზმის დარღვევას იწვევს, რაც გულის რიტმისა და ნერვკუნთოვანი იმპულსის გადაცემის დარღვევით ვლინდება.

კალიუმი, მის ანტაგონისტ ნატრიუმთან ერთად არეგულირებს წყალმარილოვან ცვლას, მჟავეტუტოვან წონასწორობას, სისხლის ოსმოსური წნევისა და არტერიული წნევის შენარჩუნებას. კალიუმის არასაკმარისი მიღება ასოცირებულია ისეთ დაავადებებთან, როგორიცაა არტერიული ჰიპერტენზია, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, ძვლოვანი მასის შემცირება (ოსტეოპოროზი) და თირკმელკენჭოვანი დაავადება. მაგალითად, კვების რაციონში კალიუმის შემცველობის 1,64 გრამით გაზრდამ 21%-ით შეამცირა ინსულტის რისკი და დააქვეითა არტერიული წნევის მაჩვენებელი. მოზრდილებისთვის რეკომენდებულია დღე-ღამეში საშუალოდ 3,51-4,7 გრამი კალიუმი, ამასთან, მისი თანაფარდობა სუფრის მარილთან (ნატრიუმთან) 1:1 უნდა იყოს, მაგრამ ხშირად ადამიანები იმ რაოდენობით სუფრის მარილს მოიხმარენ, რომ ეს თანაფარდობა ირღვევა 2:1 ნატრიუმის სასარგებლოდ, რაც კარდიოვასკულარული დაავადებების ერთ-ერთი ძლიერი რისკფაქტორია.

ასევე, კალიუმით რაციონის გამდიდრება ამცირებს შარდკენჭოვანი დაავადებების რისკს, რადგან კალიუმი აქვეითებს შარდით კალციუმის ექსკრეციას. კალიუმით მდიდარი პროდუქტების - ხილისა და ბოსტნეულის აქტიური ჩართვა რაციონში აქვეითებს შარდში კალციუმის დონეს და ამცირებს თირკმელში კონკრემენტის წარმოქმნის რისკს. ამასთანავე, ხელს უწყობს ოსტეოპოროზის შემცირებას, რადგანაც ანელებს ძვლის რეზორბციის (გაწოვის) პროცესს და ძვლოვანი მასის მატებას უწყობს ხელს. თუ მოზრდილებისთვის ჩვეულებრივ, 3,51-დან 4,7 გ-მდე კალიუმია საკმარისი, ორსულებმა და მეძუძურმა დედებმა 5 გრამზე მეტი კალიუმი უნდა მიიღონ. ასევე, კალიუმის მაღალი მაჩვენებელია საჭირო არტერიული ჰიპერტენზიის მქონე პაციენტებისთვის, მაგრამ თირკმლის ქრ. უკმარისობის დროს, პირიქით, კალიუმის მოხმარება უნდა შეიზღუდოს.

კალიუმის დეპო ორგანიზმში არ არსებობს, ის ყოველდღიური რაციონიდან უნდა შევივსოთ. კალიუმის ძირითადი წყაროა ხილი და ბოსტნეულია (ბანანი, ფორთოხალი, გარგარი, კივი, ნესვი, ავოკადო, ხილის ჩირი, კარტოფილი, სტაფილო, პომიდორი, კომბოსტო, სოკო, მწვანილი, ბოლოკი, ისპანახი, ჭარხალი, თხილი, ხორცი, თევზი, რძის ნაწარმი, ლობიო, წიწიბურა, გოგრა, კაკაო...).

კალიუმის შემცველი დანამატები გვჭირდება უმთავრესად იმ პრეპარატებით ხანგრძლივი მკურნალობისას, რომლებიც კალიუმს ორგანიზმიდან გამოდევნის, მაგ. ფუროსემიდი, პრედნიზოლონი, დექსამეტაზონი. ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ კალიუმის სიჭარბეც სახიფათოა ორგანიზმისთვის, ისევე, როგორც მისი დეფიციტი.

დაუმუშავებელ საკვებში კალიუმის შემცველობა უფრო მაღალია, ვიდრე თერმულად დამუშავებულში ან გაყინულში. ზეითუნის ზეთი კალიუმის შეწოვას ხელს უწყობს, ამიტომ სასურველია, ბოსტნეული ამ ზეთთან ერთად მივირთვათ.

კალიუმის შემცველობა იზომება სისხლში როგორც დამოუკიდებლად, ასევე ელექტროლიტებთან ერთად (ნატრიუმთან, კალციუმთან, მაგნიუმთან).

კალიუმის დეფიციტის (ჰიპოკალიემიის) ყველაზე საყურადღებო სიმპტომია გულის რიტმის დარღვევა (ზოგჯერ - პარკუჭოვან ფიბრილაციამდეც კი), კუნთოვანი სისუსტე (ზოგჯერ - დამბლაც), ყლაპვის გაძნელება, შეკრულობა (ფუნქციურ გაუვალობამდე), შარდვის გახშირება, წყურვილის გაძლიერება, დაღლილობა.

ჰიპოკალიემიის მიზეზებია:

ზოგიერთი პრეპარატი: მარყუჟოვანი შარდმდენები (ფუროსემიდი), გლუკოკორტიკოსტეროიდები (პრედნიზოლონი), ვიტამინი B_{12}, ინსულინი; გახანგრძლივებული დიარეა, ღებინება, ჭარბი ოფლიანობა; თირკმელზედა ჯირკვლის ფუნქციის გაძლიერება (ჰიპერალდოსტერონიზმი, კუშინგის დაავადება); ალკალოზი - მჟავეტუტოვანი წონასწორობის გადახრა ტუტე მხარეს, რაც იწვევს უჯრედგარეთა სივრცედან კალიუმის გადასვლას უჯრედის შიგნით; სუფრის მარილის, ალკოჰოლის, კოფეინიანი სასმელების ჭარბი მიღება; არაბალანსირებული კვება, უმი ხილისა და ბოსტნეულის შემცირება რაციონში, გაყინული და გალღობილი ნახევარფაბრიკატებით კვება.

კალიუმის სიჭარბეც (ჰიპერკალიემია) ვლინდება არითმიით, პარკუჭოვანი ფიბრილაციით. კალიუმის დონის მკვეთრმა მატებამ შესაძლოა გულის გაჩერებაც კი გამოიწვიოს. კალიუმის მატებას ასევე ახასიათებს კუნთოვანი სისუსტე (დამბლამდე), პარესთეზია, კუნთების დაბუჟება, შფოთვა, სისუსტე, სხეულში წყლის შეკავება და შეშუპება.

ჰიპერკალიემიშს მიზეზებია:

მედიკამენტები: ალდესტერონის რეცეპტორის ინჰიბიტორები (სპირონოლაქტონი, ეპლერენონი), აგფ-ინჰიბიტორები (ენალაპრილი), ანგიოტენზინის რეცეპტორის ბლოკერები, ბეტა-ბლოკერები (მაგ. კონკორი), ანთების საწინააღმდეგო არასტეროიდული პრეპარატები (დეკლოფენაკი, იბუპროფენი), ჰეპარინი, დიგოქსინი, ციტოსტატიკური პრეპარატები...

თირკმლის უკმარისობა;

ენდოკრინული დაავადებები: თირკმელზედა ჯირკვლის ფუნქციის დაქვეითება (ადისონის დაავადება), დიაბეტური კეტოაციდოზი ინსულინის დეფიციტით; კალიუმის ჭარბი მოხმარება; აციდოზი - მჟავეტუტოვანი წონასწორობის გადახრა მჟავას მხარეს, რასაც თან სდევს კალიუმის გადასვლა უჯრედიდა სივრციდან უჯრედგარეთა სივრცეში; კალიუმის ჭარბი გადასვლა სისხლის პლაზმაში უჯრედთა რღვევის დროს - ჰემოლიზი, მიოლიზი, დამწვრობა, სიმსივნის რღვევის სინდრომი და სხვა. სწორი ბალანსის მისაღწევად საჭიროა საკვები რაციონის გამდიდრება ხილითა და ბოსტნეულით (400-500 გრამი დღეში), რძის ნაწარმით, თევზეულით, თხილეულით. შეზღუდეთ სუფრის მარილი, ალკოჰოლი, კოფეინიანი სასმელები (ყავა ორ ჭიქაზე მეტი არ არის სასურველი).

სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში მიმართეთ ექიმს, სისხლში კალიუმის დონის განსაზღვრის ფონზე, საჭირო კვლევების გათვალისწინებით, ექიმი დაგინიშნავთ სწორ მკურნალობას.

უკრაინა

უკრაინამ რუსეთის ტყვეობიდან კიდევ 12 ადამიანი - 10 ჯარისკაცი და 2 მშვიდობიანი მოქალაქე დაიბრუნა, - ინფორმაციას სამხედრო ტყვეებთან მოპყრობის საკითხებზე მომუშავე საკოორდინაციო შტაბი ავრცელებს. „დამცველები ჯარისკაცები და სერჟანტები არიან, რომლებიც ტყვედ დონეცკის ოლქში ბახმუტის, ოპიტნოესა და ორეხოვო-ვასილიევკას მახლობლად გამართულ ბრძოლებში და ლუგანსკის ოლქის კრემენაიასა და ჩერვონოპოვკას მახლობლად აიყვანეს. ასევე დაბრუნდა ორი მშვიდობიანი მოქალაქე, რომლებიც აგრესორებმა ხარკოვის რაიონის სოფელ ლიპციდან და მარიუპოლიდან აიყვანეს მძევლად“, - აცხადებენ შტაბში. მათივე ინფორმაციით, გათავისუფლებულებს შორის 5 მძიმედ დაჭრილია. უკრაინული მხარის ინფორმაციით, რუსეთის შეჭრის შემდეგ ტყვეობიდან 2005 უკრაინელი გაათავისუფლეს.

* * *

აშშ უკრაინას დამატებით 2,6 მილიარდი დოლარის ოდენობის სამხედრო დახმარებას აწვდის. ინფორმაციას აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტი ავრცელებს. სამხედრო დახმარების ახალი პაკეტი ორი ნაწილისგან შედგება: პირველი, 2,1 მილიარდი დოლარის ოდენობის, უკრაინის უსაფრთხოების დახმარების ინიციატივიდან ფინანსდება. პაკეტის პირველი ნაწილი დააფინანსებს დამატებით საბრძოლო მასალას NASAMS-ის კომპლექსებისთვის, ცხრა 30 მმ დრონის საწინააღმდეგო ქვემეხს, 30 მმ და 23 მმ საზენიტო საბრძოლო მასალას, 130 მმ და 122 მმ საარტილერიო ჭურვებს, 122 მმ რაკეტებს „გრადის“ სისტემებისთვის, 120 მმ სატანკო საბრძოლო მასალას, საჰაერო დაზვერვის სამ რადიოლოკაციურ სადგურს, Javelin-ის ტანკსაწინააღმდეგო კომპლექსებს, მაღალი სიზუსტის საავიაციო საბრძოლო მასალას და ა. შ. დანარჩენი 500 მილიონი დოლარი, რომელთა ძირითადი ნაწილის საბრძოლო მასალაზე წავა, შეიარაღების შემცირების საპრეზიდენტო ინიციატივის ფარგლებში იქნება გამოყოფილი, რომელიც უფლებას აძლევს აშშ-ის პრეზიდენტს, განსაკუთრებულ შემთხვევებში, იარაღი ამერიკული მარაგებიდან გადასცეს. სამხედრო დახმარების პაკეტის მეორე ნაწილის ფარგლებში უკრაინას გადაეცემა Patriot-ის და HIMARS-ის სისტემებისთვის დამატებითი საბრძოლო მასალა, ტანკსაწინააღმდეგო რაკეტები, 155 მმ და 105 მმ საარტილერიო საბრძოლო მასალა, 120 მმ და 105 მმ სატანკო საბრძოლო მასალა...

* * *

უკრაინაში რუსეთის აგრესიის ფონზე აშშ და ევროკავშირი „პირდაპირ დაუპირისპირდებიან“ გლობალური ენერგეტიკული ბაზრების დესტაბილიზების მცდელობებს. ამის შესახებ ბრიუსელში ევროკავშირი-აშშ ენერგეტიკული საბჭოს შეხვედრის შემდეგ გამოქვეყნებულ ერთობლივ განცხადებაშია ნათქვამი. „ორივე მხარემ საკუთარი ერთგულება გამოხატა, შესაბამისი ზომებით, პირდაპირ დაუპირისპირდეს გლობალური ენერგეტიკული ბაზრების მეტად დესტაბილიზების და სანქციებისთვის გვერდის ავლის ნებისმიერ მცდელობებს“, - წერია განცხადებაში. საბჭომ ასევე უკრაინისა და მოლდოვის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერების გზები განიხილა. „ევროკავშირის ელექტროქსელთან უკრაინისა და მოლდოვის წარმატებული სინქრონიზაციის შემდეგ, საბჭო აპირებს უკრაინის სწრაფი აღდგენისა და აღმშენებლობის მხარდაჭერას, ასევე უკრაინისა და მოლდოვის გრძელვადიან ეკონომიკურ და სუფთა ენერგეტიკულ ტრანზიციაში დახმარების გაწევას“, - წერია განცხადებაში.

* * *

იარაღით დახმარების დაგვიანების გამო „ძალიან მრცხვენია“. ამის შესახებ გერმანიის ვიცე-კანცლერმა და ეკონომიკის მინისტრმა რობერტ ჰაბეკმა უკრაინაში სამუშაო ვიზიტის დროს განაცხადა. მან აღნიშნა, რომ 2021 წელს ზელენსკისთან შეხვედრა ახსოვს და უკრაინის პრეზიდენტი უკვე მაშინ აფრთხილებდა, რომ რუსული ჯარების უკრაინის საზღვრებთან კონცენტრირება ომის რეალური საფრთხეა. „მაშინ ჩვენ მხოლოდ დავიწყეთ გერმანიაში დებატები, უნდა დავეხმაროთ თუ არა უკრაინას იარაღით. მაშინ გერმანიას არ შეეძლო ან არ სურდა ამის გაკეთება. ჩვენი პოზიცია შევცვალეთ, მაგრამ ამან ძალიან ბევრი დრო წაიღო და უკვე ძალიან გვიანი იყო. ვიცი ეს. ვფიქრობ, ყველა გერმანელი პოლიტიკოსი ვერ შეძლებდა იგივეს თქმას, მაგრამ მე ძალიან მრცხვენია“, - თქვა ჰაბეკმა.

* * *

უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრის ერთი წლის განმავლობაში, სულ მცირე 50 უფლებადამცველი, ჟურნალისტი და ჰუმანიტარული მისიების მოხალისე დაიღუპა. ასეთი რიცხვია მოტანილი საერთაშორისო პროექტ Front Line Defenders-ის ანგარიშში. პროექტში აღნიშნულია, რომ რუსეთს, ომის დასაწყისიდანვე მიზანში ჰყავდა ამოღებული უკრაინელი უფლებადამცველები, რომლებიც უკრაინაში რუსი სამხედროების ქმედებების შესახებ დოკუმენტაციისა და მტკიცებულებების მოპოვებით იყვნენ დაკავებულნი. ეს ფაქტობრივი მასალა აუცილებელია მომავალი სასამართლო პროცესებისთვის. პროექტის თანახმად, 2022 წელს უკრაინა მეორე ადგილზე აღმოჩნდა მსოფლიოში ადამიანის უფლებათა დამცველებსა და ჟურნალისტებს შორის მსხვერპლთა რაოდენობით - ის მხოლოდ კოლუმბიას ჩამორჩება, სადაც ანალოგიურ პერიოდში 186 ჟურნალისტი და უფლებადამცველი დაიღუპა. მანამდე უკრაინულმა უფლებადამცველმა ორგანიზაცია „ზმინამ“ გამოთვალა, რომ რუსეთმა ასევე გაიტაცა ან უკანონოდ დაიკავა მინიმუმ 386 უფლებადამცველი, ჟურნალისტი და მოხალისე. Front Line Defenders-ის ინფორმაციით, 2022 წელს 26 ქვეყანაში 401 უფლებადამცველი და ჟურნალისტი დაიღუპა. მათი თითქმის ნახევარი იცავდა გარემოს და მკვიდრი მოსახლეობის უფლებებს. დაღუპულთა 17% მდედრობითი სქესისაა.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეროძის ქ. №2ᵇ
ტელ: 27-13-31
აინყო და დაკაბადონდა ბაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 5/04/23, 20 ²⁵ სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

რა აბედნიერებს ირაკლი კახიძეს, რომელმაც ბათუმში საუკეთესო მასტერკლასი ჩაატარა?

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლა თერთმეტწლედის დიდ საკონცერტო დარბაზში ცნობილმა ტენორმა, ბათუმის საპატიო მოქალაქემ, ღირსების მედალოსანმა, მანჰაიმის (გერმანია) ნაციონალური თეატრის სოლისტმა ირაკლი კახიძემ ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტის აკადემიური სიმღერის საოპერო მიმართულების სტუდენტებისთვის, ასევე ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის საოპერო დასის სტაჟიორებისთვის მასტერკლასი ჩაატარა

ეს იყო პირველი ოფიციალური მასტერკლასი ბათუმში, ევროპასა და აზიაში მოღვაწე, უცხოეთში აღიარებული ტენორისა და ჩვენი თანაქალაქელისთვის, რომელიც გამოირჩეოდა ძალიან მეგობრული და უშუალო ატმოსფეროთი. საერთოდ, პროფესიონალებთან მასტერკლასის გავლა საკმაოდ ძვირი ფუფუნებაა, მაგრამ ირაკლი კახიძემ სრულიად უანგაროდ ჩაატარა. მასტერკლასებს ბათუმში მოღვაწე პროფესიონალი პედაგოგები თავიანთ სტუდენტებთან ერთად ესწრებოდნენ. როგორც აღინიშნა, ეს იყო საკმაოდ მაღალ დონეზე ჩატარებული სწავლება, რომელიც ყველას გამოადგება.

გთავაზობთ მონაწილეთა და დამსწრეთა შთაბეჭდილებებს.

ნოდარ ვარშანიძე, პროფესორი:

- ირაკლი არის დღევანდელი ევროპის წარმომადგენელი. ბედნიერი ვართ ყველა, რომ იგი ჩვენ თვალწინ გაიზარდა, ჩამოყალიბდა, გავიდა საზღვრებს გარეთ და საქართველოს სახელი ასე ლამაზად გაიტანა. დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ ირაკლი ქართველ ტენორთა სკოლის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელია. მან დღევანდელი ევროპის სუნთქვა ჩამოგვიტანა და ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ის სცენაზეც შესანიშნავია და საქმეშიც. გვიხარია, რომ ჩვენია, გვიყვარს, ვაფასებთ. წარმატებებს ვუსურვებ.

თამაზ ცერიაშვილი, პროფესორი:

- გადატვირთული გრაფიკის მიუხედავად, მოახერხა და ჩამოვიდა. ის ძალიან დიდ ყურადღებას უთმობს მომავალ თაობას. საერთოდ, ძალიან მნიშვნელოვანია ასეთი მასტერკლასები, მაგრამ ეს იყო სხვებისგან ძალიან გამორჩეული. მას ვიცნობთ, როგორც ნიჭიერ მომღერალს, მაგრამ გაოცებული ვარ მისი მასტერკლასით. საოპერო ნაწყვეტის გამოტანაც მთხოვა, რომ მოესმინა. ირაკლიმ თავისი მუხტითა და მუსიკალურობით, ძალიან საინტერესო ვერსია შემოგვთავაზა, თან შესანიშნავად იდირიჟორა - აქაც ბრწყინვალე იყო. ირაკლი ჩემი მოსწავლეც იყო, ყოველთვის მხიბლავდა ნიჭიერებით, ბუნებით. მასტერკლასი ისეთ სპეციალისტთან, როგორიც ირაკლია, ვრწმუნდები, რომ მეტად საჭიროა. თუ კიდევ ჩამოვა, ძალიან გაგვახარებს.

ცირა ხაბაზი, მეოთხეკურსელი:

- როცა ასეთი ადამიანი გიზიარებს გამოცდილებას, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია. ირაკლი კახიძის მასტერკლასი დიდი პატივია ნებისმიერი სტუდენტისთვის. ვისურვებდი, ასეთი ხელოვანების მასტერკლასები ხშირად იმართებოდეს.

დავით დიასამიძე, საოპერო დასის სტაჟიორი:

- მსგავსი მასტერკლასები ასეთი პროფესიონალისგან, საქართველოში ძალიან იშვიათია. კარგია, რომ თავის დიდ გამოცდილებას გვიზიარებს. ასეთ დიდ ტენორთან რომ გაქვს მასტერკლასი გავლილი, მომღერლისთვის ბევრის მთქმელია. მადლობა ირაკლის, რომელმაც ამის დრო გამონახა. ნამდვილად ღირებული შენიშვნები მომცა, რომელსაც აუცილებლად გავითვალისწინებ. მადლობა ხელოვნების უნივერსიტეტს ამ პროექტისთვის.

ნატალია ცქვიტინიძე, მაგისტრატურის მეორეკურსელი:

- ძალიან ბევრი ნიუანსი მასწავლა, როგორ უნდა ვიმღერო, როგორ დავზოგო ხმა, როგორ მივიდე კულმინაციამდე... ხმის მართვა უნდა ვისწავლოთ. მან ჩაგვიტარა იტალიელების სკოლა - ბელკანტო. ძალიან კმაყოფილი ვარ და იმედია, კიდევ არაერთხელ გვექნება ასეთი მასტერკლასების მოსმენის შესაძლებლობა.

თემურ კეჟერაძე, ხელოვნების უნივერსიტეტის რექტორი:

- სასიხარულოა, რომ ის ჩვენი ხელოვნების უნივერსიტეტის აღზრდილია. როცა მარინა ჯახუტაშვილის ვარსკვლავი გაიხსნა, მაშინ შევთანხმდით მასტერკლასებზე, რაზეც დიდი სიამოვნებით დაგვთანხმდა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ირაკლის ძალიან მაღალი ჰონორარები აქვს სიმღერასა და მასტერკლასებში, მაგრამ აქ, როგორც ჩვენმა მეგობარმა და გულშემატკივარმა, ყველაფერი უანგაროდ გააკეთა.

გვანცა თარხნიშვილი, საოპერო დასის სტაჟიორი:

- შევასრულე მიქაელას არია ოპერიდან „კარმენი“. მას არაერთხელ აქვს ამ ოპერაში ნამღერი, თითოეულ ნოტზე ვიმუშავეთ, ფრანგულ გამოთქმაზე... ახლახან დავიწყე ამ არიაზე მუშაობა და პირველივე ეტაპზე მივიღე პროფესიონალის მითითებები.

მარიამ ჯახუტაშვილი, ბათუმის მუსიკალური ცენტრის საოპერო დასის სამხატვრო ხელმძღვანელი და ვოკალის პედაგოგი:

- არაჩვეულებრივი მასტერკლასი იყო, მან ნამდვილი ბელკანტოს სკოლა წარმოგვიდგინა. ამას ყველაფერს დიდი ცოდნა სჭირდება, ცოდნას - დიდი შრომა. ბედნიერი ვარ, რომ ირაკლი ასეთი პროფესიონალია, ბრწყინვალედ იცის იტალიური სკოლა, სიმღერის დიდი გამოცდილება აქვს და ახალგაზრდა მომღერლებთან შესანიშნავად იმუშავა.

ანა გოლძვაძე, მეცოსოპრანო, პირველკურსელი:

- თავიდან გამოსვლას არ ვგეგმავდი, მაგრამ მასტერკლასი რომ დაიწყო, უცებ გადავწყვიტე. მიხარია, რომ მსოფლიო ვარსკვლავმა ასე კარგად შემაფასა, დიდი მადლობა მას ამისთვს. რა თქმა უნდა, ეს სამუდამოდ დამამახსოვრდება.

ევგენია ღოღელიანი, კონცერტმაისტერი:

- ირაკლი საოცრად განათლებული ადამიანია და ეს მის მასტერკლასებშიც გამოჩნდა. როცა ორკესტრთან ერთად მუშაობს, აბსოლუტურად ყველა ინსტრუმენტის პარტია იცის. როგორ დირიჟორობდა? მან იცის გუნდის, ასევე ორკესტრის დირიჟორობა, უყვარს პოეზია, მხატვრობა, ბევრს კითხულობს. დღევანდელმა მასტერკლასმა ძალიან ბევრი მოგვცა. ირაკლი ამ კედლებში გაიზარდა და დღეს ვიგრძენით მისი დიდი სიყვარული პედაგოგების, კოლეგების, მოსწავლეების მიმართ. ამ დიდ სიყვარულზე დაყრდნობთ ჩაატარა მასტერკლასი. როგორც გამოცდილმა პროფესიონალმა, ძალიან სწორი ნიუანსები გამოჭყო და თუკი სტუდენტებმა ეს სათანადოდ გაითავისეს, მათთვის უდიდესი სკოლა იქნება.

ირაკლი კახიძე ძალიან ბევრ სიურპრიზს ამზადებს საქართველოსთვის, რომლის შესახებაც მალე ყველა გაიგებს. რაც შეეხება მის ამჟამინდელ პროგრამას, 13 აპრილს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ვერდის 210 წლისთავთან დაკავშირებით გამართულ გალა კონცერტში მიიღებს მონაწილეობას. შესრულდება ნაწარმოებები მხოლოდ ჯუზეპე ვერდის ოპერებიდან. ის უკვე გაფრინდა რუმინეთში, სადაც მიწვევით იმღერებს.

ვინც იმ დღეს ირაკლი კახიძის მასტერკლასს დაესწრო, გინდ პროფესიონალი და გინდ ჩვეულებრივი მსმენელი, დიდი სიამოვნება მიიღო. ჩვენი თანაქალაქელი წარმოჩნდა მრავალი კუთხით. როგორც მომღერალს, მას ყველა კარგად იცნობდა, მაგრამ პედაგოგის უნარითაც ყოფილა დაჯილდოებული. უნდა მოგესმინათ, როგორ უხსნიდა, როგორ აკვალიანებდა ახალგაზრდებს, როგორი ენთუზიაზმით მუშაობდა. ხუთი საათი იმუშავა შესვენების გარეშე და საინტერესო და სასარგებლო რჩევებს იძლეოდა. შეიძლება იყო კარგი მომღერალი, მაგრამ კარგი პედაგოგობა ვერ შეძლო. ირაკლიმ აქაც დაამტკიცა, რომ უნიჭიერესია.

- დღეს შევეცადე სტუდენტებისთვის დამენახებინა, რომ საოპერო მომღერალი მარტო ვოკალი არ არის, ხმის გარდა საჭიროა დამალოს ის, რაც უჭირს ვოკალური თვალსაზრისით. ამისთვის სარკესთან უნდა იმუშაოს. თუ მომღერალი სცენაზე „იტანჯება“, პუბლიკასაც ტანჯავს, როცა გახარებულია, მაყურებელსაც უხარია. ამასთან, მომღერალმა, მინიმუმ, ერთი უცხო ენა მაინც უნდა იცოდეს. ტექსტებზე გავამახვილე ყურადღება, სწორი აქცენტები უნდა დასვან, ყველაზე მთავარი კომპონენტი კი საშემსრულებლო მანერა და სამსახიობო ოსტატობაა, რომელიც პირადად გავიარე დიდ ადამიანთან - მსახიობ ამირან ტაკიძესთან. ბევრი მონოლოგი წაგვიკითხავს ერთად. მიყვარს ჩვენი ქვეყანა, მსურს ღირსეული თაობა გაიზარდოს. ის პოტენციალი, რესურსი, რაც აქვს ბათუმს და, ზოგადად, საქართველოს, მსოფლიოში არაა. დღეს ყველა აღნიშნავს, რომ ქართველი საოპერო მომღერალი უნიკალურია. დღეს იმდენი საინტერესო ხმა მოვისმინე, რომ სიხარულს ვერ ვმალავ. როცა კარგ ხმას ვისმენ, ბედნიერი ვარ. მაგრამ ახალგაზრდებმა უნდა იცოდნენ, რომ ნიჭთან ერთად, მინდომება, შრომისმოყვარეობაა მთავარი. ჩემთვის დღევანდელი დღე ყველაზე ფერადი იყო. საოცარი მომავალი თაობა მოდის, თითოეულს აქვს შანსი, მსოფლიოს წამყვანი საოპერო თეატრების სცენაზე დადგეს. ყველამ თავისი საქმე რომ აკეთოს, არაჩვეულებრივი ქვეყანა ვიქნებით.

ტილოები, რომელთაც გაზაფხულის სურნელი აქვს

ნანა აბულაძე 577 20 35 90

აჭარის ხელოვნების მუზეუმის გალერეაში 8 აპრილის ჩათვლით გაგრძელდება მხატვარ მაია გერსამიას ნამუშევრების პერსონალური გამოფენა, სადაც მისი ბოლო პერიოდში შექმნილი ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები - პეიზაჟები, პორტრეტები და ნატურმორტებია წარმოდგენილი

- ეს ნამუშევრები გაზაფხულთან ასოცირდება, ფერთა გამასთან, რომელიც პოზიტიურ ემოციებს იწვევს ადამიანებში. რაც თავი მახსოვს, ვხატავ და ვცდილობ, თითოეულ ტილოზე მუშაობისას ბოლომდე დავიხარჯო, ჩემი გულწრფელი სათქმელი სწორად მივიტანო ადამიანებამდე და მათი განწყობა ერთიორად ავამაღლო. ყველა მხატვარი ინდივიდუალურია თავისი აღქმებითა და იმპულსებით. ჩემთვის მთავარია შეფასებები, რომელსაც ვიღებ დამთვალიერებლისგან, მაბედნიერებს მათი ემოციები და სტიმულს მაძლევს კიდევ უფრო მეტი შრომისთვის. მადლობა ხელოვნების მუზეუმს ჩემი შემოქმედების მასპინძლობისთვის, მადლობა ადამიანებს, რომლებმაც გაიზიარეს ჩემი სიხარული. თუ ერთ მათგანს მაინც სიხარულის ემოცია მოჰგვარა ამ ნახატებმა, ჩავთვლი, რომ ჩემი, როგორც მხატვრის, მისია შესრულებული მაქვს, - გვითხრა მაია გერსამიამ.